პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 93 (11097) | კვირა, 20 აპრილი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიშვილებო და ჭაბუკებო! იყავით ჩვენი დიდი ხალხის ღირსეული შვილები, კომუნიზმის დაუცხრომელი მეღი მშენებლები!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან).

ალვზარდოთ კომუნისტური საზოგადოების აქტიური და შეგნებული მშენებლები

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა საკავშირო ალკკ XIII ყრილოგაზე 1958 წლის 18 აპრილს

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა მოგესალმოთ თქვენ, ამ შესანიშნავი ყრილობის დელეგატებს, და გისურვოთ თქვენ, ისე როგორც მთელ კომკავშირს, ჩვენს საბჭოთა ახალგაზრდობას, წარმატებები თქვენს შრომაში საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა, დიდი კმაყოფილებით მოვისმინეთ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა ამხ. შელეპინმა. ეს იყო კარგი მოხსენება როგორც ფორმით, ისე შინაარსით. იგი სწორად ასახავს კომკავშირის — ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწის მრავალმხრივ მუშაობას. **(ტაში).**

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ თქვენი ყრილობა კომკავშირის მთელ მრავალმილიონიან არმიას, ჩვენს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას მიზნად დაუსახავს იმ დიდი ამოცანების გადაჭრას, რომლებიც დგას საბჭოთა ხალხის წინაშე კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

მოსკოვი. საკავშირო ალკკ XIII ყრილობა. ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ხხრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. ფოტო ვ. კუნოვისა და ვ. ხვოსტიანოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

დაიცავით და ამრავლეთ რევოლუციური ტრადიციები

წელს ლენინური კომკავშირი აღნიშნავს თავის მეორმოცე წლისთავს. ორმოცი წლის წინათ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ინიციატივით შეიქმნა მშრომელი ახალგაზრდობის მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია — კომკავშირი. მას შემდეგ კომკავშირი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ერთგულად და თავდადებით ემსახურება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს. **(ხანგრძლივი ტაში).**

კომკავშირი მუდამ პირნათლად ასრულებდა დიდი ლენინის ანდერძს.

ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა კომკავშირელთა უფროს თაობას. მრავალი ათასი ჭაბუკი, შედიოდა რა მაშინ კომკავშირში, კომკავშირულ ბილეთებთან ერთად იღებდა იარაღს და მიდიოდა ფრონტზე საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკის დასაცავად.

ხოლო რამდენი სასახელო ფურცელი ჩაწერა სოციალიზმის გამარჯვებისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლის ისტორიაში კომკავშირმა, საბჭოთა ახალგაზრდობამ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წლებში! კომკავშირი იყო ინიციატორი მასობრივი სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელიც შემდეგ გახდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ძირითადი მეთოდი.

ბევრი უმაგალითო საგმირო საქმე ფრონტზე და ზურგში გვიჩვენეს კომკავშირელებმა, საბჭოთა ახალგაზრდობამ დიდი სამამულო ომის წლებში. ომის წლებში მე მინახავს ბევრი ახალგაზრდა გმირი, რომლებიც სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. ჩუენ გვინახავს მტრის ტყვეებით დაცხრილული, ახალგაზრდა პატრიოტთა სისხლით შეღებილი ბევრი კომკავშირული ბილეთი.

სწორედ ისინი, ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები, სწირავდნენ სიცოცხლეს, იბრძოდნენ რა იმისათვის, რომ დაეცვათ ოქტომბრის დიადი მონაპოვარნი, სოციალიზმის მონაპოვარნი, რომლებიც სასტიკ ბრძოლაში მოიპოვეს მამა მამებმა და უფროსმა ძმებმა.

საბჭოთა ახალგაზრდობამ მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას უჩვენა შესანიშნავი მაგალითი, თუ როგორ უნდა ბრძოლა თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დაბოუკიდებლობისათვის, მუშათა კლასის საქმისათვის, სოციალიზმისათვის.

კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ უდიდესი წვლილი შეიტანეს ომისშემდგომ წლებში ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საერთო-სახალხო საქმეში.

დიდი როლი ეკუთვნის კომკავშირს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მაგრამ, შეიძლება ითქვას, მისი მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია კომუნისტური საზოგადოების ახალგაზრდა მშენებელთა აღზრდა. კომკავშირის რიგებში კარგი სკოლა გაიარა მილიონობით საბჭოთა ადამიანმა. ჩვენს კომკავშირს სამართლიანად შეგვიძლია ვუწოდოთ კადრების შესანიშნავი სამჭედლო.

როგორ გაეხარდებოდა ვლადიმერ ილიას-ძეს, რომ ენახეთ თქვენ, კომკავშირის დღევანდელი, მეცამეტე ყრილობის დელეგატები! მდიდარ ნაყოფს, ახლის, პროგრესულის უძლეველი ძალების სულ ახალ და ახალ აღმონაცენს იძლევა დიადი ლენინური მოძღვრება. და საბჭოთა ხალხის, კომუნიზმის დაუცხრომელი მშენებლის სახელოვან საქმეებში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის კომკავშირს, ჩვენს ახალგაზრდობას. საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები — კომუნიზმის მშენებელთა ახალგაზრდა და მძლავრი არმია ჩვენი ქვეყნის სიამაყეა, ჩვენი კომუნისტური პარტიის სიამაყეა. **(მქუხარე ტაში).**

კომკავშირელთა დღევანდელი თაობა მემკვიდრეა რევოლუციური ტრადიციებისა, რომლებიც შეიძინეს ჩვენმა პარტიამ და კომკავშირმა. საჭიროა მზრუნველობით დაიცვათ და ამრავლოთ სახელოვანი ტრადიციები კომკავშირისა, რომელიც მუდამ იყო და რჩება ჩვენი პარტიის ერთგული თანაშემწე. კომკავშირელებს, ახალგაზრდობას არ ეშინიათ სიძნელეებისა და მიდიან კომუნისტური მშენებლობის ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე.

სოციალისტური ინდუსტრიის შემდგომი განვითარების პროგრამაში, რომელიც პარტიის XX ყრილობამ დასახა, დიდი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების ათვისებას. ჩვენ უნდა დავიპყროთ ციმბირის ბობოქარი მდინარეები, გამოვავლინოთ და ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ უდიდესი სიმდიდრენი, რომლებსაც შეიცავს ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ყაზახეთის, ჩვენი ჩრდილოეთის წიაღი. კომკავშირი კარგად მოიქცა, როცა ამ რაიონებში მშენებლობებზე გაგზავნა დაახლოებით 300 ათასი ახალგაზრდა პატრიოტი. მათ უკვე ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ რა ბევრი სასახელო საქმე მოელის ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს! საბჭოთა ახალგაზრდობას ხომ ძალუძს შეასრულოს ყოველი ამოცანა, ყოველი საქმე.

ნება მიბოძეთ თქვენი ყრილობის ტრიბუნიდან კომკავშირის ამ წარგზავნილთ გადავცე გულითადი სალამი და ვუსურვო სიმტკიცე, სიმამაცე ბუნებასთან ბრძოლაში, წარმატებანი სოციალისტური ინდუსტრიის ახალი მძლავრი ცენტრების შექმნაში. ამასთან მინდა გამოვთქვა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის რწმენა, რომ ახალგაზრდა მშენებელთა პირველი რაზმების შემდეგ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში წავა კიდევ მრავალი ასეული ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი. **(მქუხარე ტაში).**

უნდა აღინიშნოს უკრაინის კომკავშირისა და ახალგაზრდობის შრომითი გმირობა. მათი ღონისძიებებითა და შრომით დონბასში აშენდა ქვანახშირის 37 ახალი შახტი. ერთ თვალსაჩინო უცხოელ პოლიტიკურ მოღვაწესთან საუბარში მე ვუამბე მას, რომ ჩვენ გვინდა ერთ წელიწადში ავაშენოთ ქვანახშირის რამდენიმე ათეული შახტი. მან არ დამიჯერა და შენიშნა, რომ ეს მეტად სწრაფი ტემპია. მაგრამ გავიდა ცხრა თვე, და ახალი შახტები მუშაობენ, ქვანახშირს აძლევენ ჩვენს ქვეყანას. როცა ეს შახტები აითვისებენ სრულ საპროექტო სიმძლავრეს, ისინი მოგვცემენ დაახლოებით ექვს მილიონ ტონა ქვანახშირს წელიწადში. კომკავშირელებმა თავიანთი სიტყვა გაამართლეს. **(ტაში).**

სამუდამოდ დარჩება თაობათა მეხსიერებაში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. სულ 2-3 წლის განმავლობაში ჩვენში ათვისებულია 36 მილიონი ჰექტარი ახალი მიწები. ამ ფართობზე შეიძლება მოთავსდეს ევროპის არაერთი სახელმწიფო. ახალი მიწები ყოველ წელს გვაძლევენ ასეულ მილიონობით ფუთ პურს, ხოლო მალე მოგვცემენ ბევრ რძეს, ხორცს, კარაქს, შაქრის ჭარხალსა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს.

350 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი გაემგზავრა კომკავშირის საგზურებით ყამირ და ნასვენ მიწებზე. ცოტა სიძნელე და გაჭირვება როდი აიტანეს მათ, განსაკუთრებით პირველ ხანებში. მაგრამ ისინი არ შეუშინდნენ სიძნელეებსა და გაჭირვებას, არამედ როგორც ნამდვილი პატრიოტები შეებრძოლნენ ამ სიძნელეებს და გაიმარჯვეს.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების პიონერთა გმირობას. მათ შორის 262 კაცი გახდა სოციალისტური შრომის გმირი, 30 ათასზე მეტი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. ეს დამსახურებული ჯილდოა! მაგრამ ყველაზე მაღალი ჯილდოა ყამირის დამპყრობთა გმირობის საყოველთაო-სახალხო აღიარება. გაივლის მრავალი ათეული წელი, გაიზრდებიან ახალი ადამიანები. და ეს ადამიანები სიამაყით მოგიგონებენ თქვენ, ახალგაზრდა გმირებს, ისწავლიან თქვენი მაგალითით, როგორ უნდა ხალხის სამსახური. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ ვუსურვო ახალგაზრდა პატრიოტებს — ყამირის ათვისების გმირებს ახალი შრომითი გამარჯვებანი, ვუსურვო, რომ ისინი მტკიცედ დამკვიდრდნენ ახალ მიწებზე, მოიპოვონ ერთსულოვანი ოჯახური ცხოვრების ბედნიერება და აღზარდონ ყამირის მკვიდრთა ახალგაზრდა თაობა. **(მქუხარე ტაში).**

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის კომკავშირელთა აქტივობა. როცა ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წამოაყენეს მოწოდება — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე რძის, კარაქისა და ხორცის წარმოების მხრივ, სოფლის ახალგაზრდობამ მხურვალედ დაუჭირა მხარი და გამოეხმაურა ამ მოწოდებას. 650 ათასზე მეტი ახალგაზრდა კოლმეურნე წავიდა უკანასკნელ წლებში სამუშაოდ მეცხოველეობის ფერმებში. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ახალგაზრდობა ასრულებს გადამწყვეტ როლს მინდვრების მოსავლიანობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ბრძოლაში.

შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი სხვა მაგალითი, როცა კომკავშირს, ჩვენს ახალგაზრდობას დიდი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში.

კომუნისტური პარტია ამაყობს თავისი ახალგაზრდა ცვლით და დარწმუნებულია, რომ კომკავშირს ყოველთვის მაღლა ეკავება თავისი სახელოვანი დროშა, დამშვენებული ხუთი ორდენით, რომლებითაც დაჯილდოებულია კომკავშირი სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის. **(მქუხარე ტაში).**

ვლაპარაკობთ რა ჩვენს წარმატებებზე, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს წარმატებები შესაძლებელი გახდა საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ნიადაგზე, იმ დიად სოციალისტურ გარდაქმნათა საფუძველზე, რომლებიც განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ჩვენ შესანიშნავ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ჩვენში აშენებულია სოციალიზმი—კომუნისტური საზოგადოების პირველი საფეხური. სოციალიზმმა განუსაზღვრელი გასაქანი მისცა საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა ზრდას, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას.

შრომაში, სწავლასა და ბრძოლაში იწრთობა ახალი ადამიანი

ამხანაგებო! კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე პირობები მოითხოვენ დიდად განათლებულ ადამიანებს, რომლებსაც უნარი შესწევთ გადაწყვიტონ ურთულესი ამოცანები, გაბედულად გაერკვნენ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში.

უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად ჩამორჩენილი და დანგრეული იყო, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ახალგაზრდა თაობას დაუსახა მთავარი ამოცანა: სწავლა და სწავლა. თქვენს ბამებს, დედებს, პაპებს უნდოდათ მათი მემკვიდრეები ყოფილიყვნენ მცოდნენი, კომუნისტური საზოგადოების წვრილიერი მშენებლები. ადვილი როდი იყო იმ დროს ცოდნის შეძენა, ამხანაგებო!

ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ მუშათა ფაკულტეტების დრო, როცა ქალიშვილები და ჭაბუკები ერთსა და იმავე დროს სწავლობდნენ და შრომობდნენ. 8 საათი საამქროში და ამდენივე მეცადინეობაში. ძალიან ცოტა დრო რჩებოდა ძილისათვის. მაგრამ, როგორც იტყვიან: „ვისაც ახალგაზრდობაში ბევრი სძინავს, მას ცხოვრება გამოეპარებაო“. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ლენინის ანდერძი — სწავლა — დღესაც რჩება კანონად ჩვენი ახალგაზრდობისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ახლა მთელი მსოფლიო აღიარებს სსრ კავშირის შესანიშნავ როლს კაცობრიობის პროგრესში. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ერთ ადგილზე ვიდგეთ. არც ახალგაზრდობას შეუძლია მიღწეულზე გაიყინოს. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენს მაგივრად არავინ არაფერს არ გააკეთებს. სწორედ ამიტომ უაღრესად საჭიროა, რომ თვითეულს ესმოდეს თავისი პირადი პასუხისმგებლობა საერთო საქმეში. ერთი საათიც კი არ უნდა დავკარგოთ ამოძრავებასა და ჭვრეტაზე. ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების გიგანტური შეჯიბრების ეპოქაში ბევრ რამეს წყვეტს ტემპი. თვითეული წარმატება, წინსვლა სამეურნეო ფრონტზე — სწორედ ეს არის კომუნიზმის მშენებლობა.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ავაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას, საუკეთესო საზოგადოებას დედამიწაზე. კომკავშირმა უნდა დანერგოს, მე ვიტყოდი, შრომითი დამოკიდებულება კომუნიზმის ცნებისადმი.

კომუნისტურ საზოგადოებაში თვითეული ადამიანი იშრომებს უნარის მიხედვით, ხოლო მიიღებს მოთხოვნილების მიხედვით. ამ კლასიკური ფორმულის აზრი ის არის, რომ თვითეული ადამიანი კომუნიზმის გარეშე მაყურებელი ან კეთილმოსურნე როდი იქნება. დამკლავებული იმუშავებს იგი როგორც ახალი საზოგადოების ნამდვილი მშრომელი. კომუნიზმის დროს იქნება არა ბატონური ცხოვრება, სადაც მეფობს სიზარმაცე და უქნარობა, არამედ მუშური, შრომითი, კულტურული და საინტერესო ცხოვრება!

ხელმძღვანელობს რა კომუნისტური პარტიის მითითებებით, კომკავშირმა უკანასკნელ წლებში ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა. სულ უფრო მეტ ქალიშვილსა და ჭაბუკს თავის ბედნიერებად მიაჩნია ის, რომ იყოს ჩვენი საზოგადოების აქტიური მუშაკი. მაგრამ სწორი არ იქნება არ შევნიშნოთ ზოგიერთი შეცდომა ახალგაზრდობასთან მუშაობაში.

უწინარეს ყოვლისა მინდა ვთქვა შრომის შესახებ. ატომის ელექტროსადგურების, კოსმოსის დაპყრობის ჩვენს საუკუნეში, ავტომატიკის საუკუნეში ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური პარტიული და სახელმწიფოებრივი ზრუნვა იმისათვის, რომ ყველა მუშასა და კოლმეურნეს ჰქონდეს საშუალო განათლება. როდესაც ჩვენს მუშებსა და კოლმეურნეებს ექნებათ საშუალო განათლება, შრომა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდება, ხოლო შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი გადიდება საბოლოო ანგარიშით კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის მთავარი პირობაა.

ამასთან დაკავშირებით მინდა გაგიზიაროთ, ამხანაგო კომკავშირელებო, ზოგიერთი მოსაზრება სახალხო განათლებისა და ჩვენს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების საკითხებზე.

თქვენ იცით, რომ ჩვენმა ქვეყანამ სპეციალისტთა მომზადების დონის მხრივ გაუსწრო ყველა ქვეყანას და ახლა უკვე ამერიკის შეერთებული შტატები ისახავენ ამოცანას დაეწიონ საბჭოთა კავშირს.

თქვენ გესმით, თუ რას ნიშნავს ეს! ამერიკის შეერთებული შტატები, რომელთა მმართველი წრეები ყოყოჩობდნენ, აცხადებდნენ რა წამყვანი მდგომარეობის პრეტენზიას, ახლა ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უნდა დაეწიონ საბჭოთა კავშირს სპეციალისტთა კადრების მომზადების მხრივ. ეს ისეთი მიღწევაა, რომლითაც არ შეიძლება არ ვიამაყოთ, ამხანაგებო. **(ტაში).**

მიუხედავად ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია დავჯერდეთ მიღწეულს. ჩვენი სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებებია. ჩვენი სკოლა — ათწლედი ახალგაზრდობას ამზადებს მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ცხოვრებამ უკვე დიდი ხანია დაგვანახვა, რომ ასეთი წარმოდგენა საშუალო სკოლაზე სწორი არ არის.

თვითონ ნახეთ, რა გამოდის სინამდვილეში. ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში შეიძლება მიღებულ იქნას წელიწადში დაახლოებით 450 ათასი კაცი, აქედან დღის განყოფილებაზე — დაახლოებით ნახევარი. ახალგაზრდათა უმრავლესობა კი, რომელმაც ათი წელიწადი ისწავლა სკოლაში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ ვერ ჩაებარა გამოცდა უმაღლეს სასწავლებელში, მოუმზადებელია პრაქტიკული ცხოვრებისათვის. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან მარტო გასულ წელს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ვერ შევიდა 700 ათასი კაცი მაინც, ხოლო 1953-1956 წლებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ვერ შევიდა 2 მილიონ 200 ათასამდე კაცი.

ეს ქალიშვილები და ჭაბუკები, იმის გამო, რომ საშუალო სკოლაში სწავლების პროგრამა მოწყვეტილია ცხოვრებას, არ იცნობენ წარმოებას. ამიტომ წარმოიშობა სიძნელეები იმ საკითხში, თუ როგორ გამოვიყენოთ უკეთ სასიცოცხლო ძალებით აღსავსე ეს ახალგაზრდები. გამოდის, რომ ახალგაზრდობისა და მშობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმაყოფილებელი რჩება ასეთი მდგომარეობით.

ამასთან ზოგიერთი ქალიშვილი და ჭაბუკი, დაამთავრებს რა ათწლედს, უხალისოდ მიდის სამუშაოდ ფაბრიკაში, ქარხანაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, თითქოს შეურაცხყოფად მიაჩნია ეს. ფიზიკური შრომისადმი ასეთი ბატონკაცური, უპატივცემლო, არასწორი დამოკიდებულება თავს იჩენს ზოგიერთ ოჯახშიც. თუ ბავშვი ცუდად სწავლობს, ზოგიერთი მშობელი ეუბნება მას: თუ ცუდად ისწავლი, უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდები და ქარხანაში უბრალო მუშად წახვალო.

ფიზიკურ შრომას ზოგიერთი რაღაც საფრთხობელად აქცევს ბავშვებისათვის. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ასეთი მსჯელობა შეურაცხმყოფელია სოციალისტური საზოგადოების მშრომელებისათვის.

ვფიქრობ, რომ დადგა დრო გადაჭრით გარდავქმნათ სკოლებში ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდის სისტემა. ჩვენ ხომ ვერ შევურიგდებით ისეთ ნაკლოვანებებს, როცა ჩვენს სკოლაში სუსტად უნერგავენ მოსწავლეებს ფიზიკური შრომის პატივისცემას.

ამ საქმეში ყველაზე მთავარი ის არის, რომ მივცეთ ლოზუნგი და რომ ეს ლოზუნგი წმიდა იყოს ყველასათვის ჩვენს საზოგადოებაში. ყველა ბავშვი, რომელიც სკოლაში შედის, უნდა ემზადებოდეს სასარგებლო შრომისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მონაწილეობისათვის.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გაგრძელება

ყოველგვარი შრომა ფაბრიკასა თუ კოლმეურნეობაში, სამრეწველო საწარმოსა თუ საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებაში, პატიოსანი, სასარგებლო შრომა საზოგადოებისათვის წმიდა შრომაა და საჭიროა ყოველი ადამიანისათვის, რომელიც საზოგადოების სიკეთით ცხოვრობს და სარგებლობს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ვისაც უნარი აქვს და შეუძლია მუშაობა, მაგრამ არ შრომობს, — ის პარაზიტია, ვინც მუშაობს, ესე იგი ცხოვრობს იმათ ხარჯზე, ვინც ქმნის მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს. უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი შეუწყნარებლობის ატმოსფერო იმათ მიმართ, ვინც შრომას უგულებელყოფს. **(ტაში).**

ყოველმა ადამიანმა, რომელიც კომუნისტურ საზოგადოებაში ცხოვრობს, უნდა შეიტანოს წვლილი თავისი შრომით ამ საზოგადოების მშენებლობასა და შემდგომ განვითარებაში.

მოზარდი თაობის მომზადება ცხოვრებისათვის, სასარგებლო შრომისათვის, სოციალისტური საზოგადოების პრინციპებისადმი ღრმა პატივისცემის დანერგვა ახალგაზრდობისათვის — ეს ამოცანა უნდა გახდეს ჩვენი სკოლის მთავარი ამოცანა. და კომკავშირს, პიონერთა ორგანიზაციას შეუძლიათ ბევრგან გამოიყენონ თავიანთი ძალები ამ საქმეში.

საბჭოთა სკოლა მოწოდებულია ამზადებდეს ყოველმხრივ განათლებულ ადამიანებს, რომლებმაც კარგად იციან მეცნიერების საფუძვლები და ამასთან ერთად უნარი აქვთ სისტემატურად იშრომონ, უნერგავდეს ახალგაზრდობას მისწრაფებას სასარგებლო იყოს საზოგადოებისათვის, აქტიურად იღებდეს მონაწილეობას საზოგადოებისათვის საჭირო ფასეულობათა წარმოებაში.

ჩვენ ცოტა როდი გვყავს ისეთი ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებმაც ათწლედი დაამთავრეს და წარმოებაში მუშაობენ. ხოლო ზოგიერთი წარმოებაში მივიდა ისე, რომ არ დაუმთავრებია ათი კლასი. ბევრი მათგანი კარგად მუშაობს და წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს.

მაგალითად, მე მიამბეს ნიკოლოზ ჩიკირიოვზე. ომის დროს მან ბავშვმა დაიწყო მუშაობა, იძულებული იყო სკოლა მიეტოვებინა. სხვა ვინმე სწავლას ალარ დაუბრუნდებოდა, მაგრამ ამხ. ჩიკირიოვს სურდა ესწავლა არა დიპლომისათვის, არამედ საქმისათვის. ხარატად მუშაობისას მან რამდენიმე წელიწადში დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელიც. ამ წლებში ამხ. ჩიკირიოვი გახდა სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის საამქროს უფროსი. ხოლო ისეთი ადამიანები, როგორიც ნიკოლოზ ჩიკირიოვია, ჩვენში ბევრია, და საჭიროა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მათგან იღებდეს მაგალითს. **(ტაში).**

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობას, რათა ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს, რომლებიც წარმოებაში მუშაობენ, თუ მოისურვეს, შეეძლოთ მიიღონ საშუალო განათლება ასეთ სკოლაში. მე ვიტყოდი, რომ თუ ზოგიერთ ამხანაგს ღღეს ჯერ კიდევ არა სურს ისწავლოს, საჭიროა გავუღვიძოთ მათ სწავლის სურვილი.

მაგრამ უნდა მოვერიდოთ ისეთ მდგომარეობას, როცა საღამოს სკოლები ამოცანად ისახავდნენ მოსწავლეთა მომზადებას მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ამ სკოლებში ხომ სწავლობს და კვლავაც ისწავლის მნიშვნელოვნად მეტი ახალგაზრდობა, ვიდრე საჭიროა უმაღლეს სასწავლებელთა შესავსებად. მაშასადამე, საღამოს სკოლების მოსწავლეებისათვის უნდა შეიქმნას შესაძლებლობა მიიღონ არა მარტო სრული ზოგადი განათლება საშუალო სკოლაში, არამედ აგრეთვე გაიუმჯობესონ, გაიღრმაონ პროფესიული განათლება, რომ მომზადდნენ უფრო კვალიფიციური, განათლებული მუშები, კოლმეურნეები და ჩვენი საზოგადოების სხვა მშრომელები, რომლებსაც ექნებათ დამთავრებული საშუალო ზოგადი, აგრეთვე სპეციალური განათლება.

როგორც ჩანს, უნდა გავაუმჯობესოთ აგრეთვე ჩვენში არსებული უმაღლესი განათლების სისტემა, დავუახლოოთ იგი წარმოებას და ნამდვილად დავაკავშიროთ წარმოებასთან. უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ უნდა იქნან უფრო მეტი ის ახალგაზრდები, რომლებსაც უკვე აქვთ ცხოვრების გამოცდილება, პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. საშუალო სკოლის გარდაქმნა დაგვეხმარება ამ საკითხის სწორად გადაჭრაში. უმაღლეს სასწავლებლებში უნდა მივიღოთ ისინი, ვინც გამოიჩენს მეტ უნარს და სწავლის განგრძობის სურვილს. აქ ანგარიში უნდა გაეწიოს არა მარტო უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის სურვილს, არამედ მისი საქმიანობის შეფასებასაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების (პროფკავშირის, კომკავშირის) მიერ, რათა შერჩევა იყოს მომზადების, მიდრეკილებისა და იმ რწმენის მიხედვით, რომ ეს ადამიანი გაამართლებს მასზე გაწეულ ხარჯს, რომ მას შეუძლია მართლაც იყოს წარმოების სასარგებლო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. **(ხანგრძლივი ტაში).**

უმაღლესი სკოლის და პირველ რიგში ტექნიკური უმაღლესი სკოლის განვითარებაში საჭიროა ყველაზე მეტი ყურადღება მივაქციოთ საღამოს და დაუსწრებელ განათლებას. საჭიროა საერთოდ საფუძვლიანად მოვიფიქროთ საკითხი საღამოს და დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შესახებ. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ადამიანებს, რომლებიც სასარგებლო შრომას ეწევიან საზოგადოებაში, მუშაობისაგან თავისუფალ დროს, თუ სურთ, ჰქონდეთ მეტი შესაძლებლობა ისწავლონ ისეთ სასწავლებლებში, სადაც ისინი შეისწავლიან ხელოვნებას, ფერწერას, მუსიკას, ჰუმანიტარულ მეცნიერებას. სახელმწიფომ და განსაკუთრებით კომკავშირმა, პროფკავშირებმა ამაში ხელი უნდა შეუწყონ ჩვენი საზოგადოების მშრომელებს.

საყვედურს იწვევს აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში მიღების არსებული სისტემა. ზოგჯერ უმაღლეს სასწავლებელში ხვდება არა ის, ვინც კარგად მომზადებულია, არამედ ის, ვისაც ჰყავს გავლენიანი მამა ან დედა, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ უმაღლეს სასწავლებლებში თავისი შვილების მიღებას. **(ტაში).**

ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება ჩვენი სოციალისტური წყობილების არსს, რადგან ნშირად უმაღლეს სასწავლებელში შედიან არა ყველაზე ღირსნი, არამედ ისინი, ვისაც აქვს გატკეპნილი გზა იმ პირებისაკენ, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში განსაზღვრავენ, ვინ შეიძლება მიღებულ იქნას სასწავლად და ვინ არა. ეს სამარცხვინო მოვლენაა. ჩვენ, ბოლშევიკები, გადაჭრით ვაკრიტიკებთ ასეთ მდგომარეობას. ხოლო ხალხმა იცის, რომ თუ ბოლშევიკები ხედავენ ნაკლოვანებებს და მთელ ყურადღებას აქცევენ მათ, მაშინ ეს ნაკლოვანებანი აღმოფხვრილი იქნება. **(მქუხარე ტაში).**

საშუალო სკოლის მუშაობის გარდაქმნისას შეიძლება მიზანშეწონილი იქნეს ვიფიქროთ ისეთი ფორმის გამოყენებაზე, როგორიც არის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები, ფორმისა, რომელმაც გაამართლა თავისი დანიშნულება. რომელიმე გარკვეულ კლასამდე მოსწავლეებს შეუძლიათ ისწავლონ საშუალო სკოლაში, შემდეგ შევიდნენ საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში, რათა იქ განაგრძონ განათლება და შეიძინონ შრომითი ჩვევები, პროფესია, რომელიც ყოველ კაცს ესაჭიროება, რათა მომზადებული იყოს არა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში, არამედ კარგად იცოდეს აგრეთვე ცხოვრება, წარმოება, იცოდეს, როგორ ეკავოს ჩაქუჩი და ერთმანეთში არ ერეოდეს ფოცხი და ხელნა. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).**

სწავლისა და აღზრდის ასეთი წესი უკეთ შეესაბამება საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიულ პრინციპებს. ასეთ პირობებში უკვე არ შეიძლება ვიმსჯელოთ ისე, რომ ვანოს, მაგალითად, შეუძლია არ წავიდეს წარმოებაში, კოლას კი პირდაპირი გზა აქვს მხოლოდ წარმოებაში. როცა ზოგიერთი ფიქრობს, რომ წარმოებაში უნდა წავიდნენ მეორე ხარისხის ადამიანები, — ეს პრინციპულად სწორი არ არის, ეწინააღმდეგება სოციალისტური საზოგადოების სულისკვეთებას.

საჭიროა, რომ ყოველი ქალიშვილი, ყოველი ჭაბუკი, მიუხედავად იმისა, თუ რა მდგომარეობა უკავიათ მათს მშობლებს, შრომითი საქმიანობისათვის ემზადებოდეს ყველასათვის საერთო საფუძველზე. ქალიშვილმა თუ ვაჟიშვილმა უნდა იცოდეს, რომ დამიკო მამიკოა, მათ კი თვითონ, თავიანთი შრომით უნდა მოიპოვონ ადამიანთა პატივისცემა, და არა მშობლების დამსახურების ხარჯზე იცხოვრონ. **(ტაში).** უნდა გვახსოვდეს, რომ მამა თუ დედა ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობენ გარკვეული დამსახურებისათვის, ხოლო ქალიშვილს ან ვაჟიშვილს შეიძლება არც კი სცენ პატივი, თუ ისინი სწორად არ იქცევიან.

ყოველმა ქალიშვილმა, ყოველმა ჭაბუკმა უნდა იცოდეს, რომ, როცა სკოლაში სწავლობს, უნდა ემზადებოდეს შრომისათვის, იმისათვის, რომ შექმნას ადამიანისათვის, საზოგადოებისათვის სასარგებლო ფასეულობანი. ყოველ მათგანს, მიუხედავად მათი მშობლების მდგომარეობისა, უნდა ჰქონდეს ერთი გზა — ისწავლოს და, როცა შეისწავლის, — იმუშაოს. იმ ადამიანებს, რომლებიც წარმოებაში მუშაობენ და ამასთან ისწრაფვიან განაგრძონ განათლება, შეუძლიათ ისწავლონ საღამოსა და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში, და მათ ყოველგვარი დახმარება უნდა გავუწიოთ. დაე მათ იმუშაონ და ისწავლონ ერთი-ორი წელი, ხოლო შემდეგ, უფროს კურსებზე, მათ უნდა მივცეთ რაიმე შეღავათი, შესაძლებელია გამოვუყოთ 2-3 დღე კვირაში სპეციალურად სწავლისათვის. უკანასკნელ ერთ ან ორ წელიწადს იქნებ საჭიროა ასეთი ადამიანები გავათავისუფლოთ წარმოებაში მუშაობისაგან, რათა მივცეთ მათ შესაძლებლობა დაამთავრონ სასწავლებელი და დაიწყონ ცხოვრება როგორც კარგად მომზადებულმა სპეციალისტებმა, რომლებმაც იციან თავიანთი საქმე, კარგად იციან თეორიაც და პრაქტიკაც. ინჟინერი, რომელმაც ამ გზით მიიღო განათლება, იმათთან შედარებით, ვინც ინსტიტუტში მიდის ათწლედის დამთავრებისთანავე, დიპლომს შესაძლებელია რამდენადმე გვიან მიიღებს, მაგრამ ცხოვრებაში, საქმის ცოდნით იგი მნიშვნელოვნად გაუსწრებს იმათ, ვინც უმაღლეს სასწავლებელში პირდაპირ საშუალო სკოლიდან-მიდის. ასეთი სპეციალისტები, სწავლობენ რა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, თითქოს იწრთობიან შრომის პროცესში და იწყებენ ცხოვრებას როგორც უფრო გამოცდილი ინჟინრები, აგრონომები ან ტექნიკოსები. **(ტაში).**

თუ ჩვენ ასეთი პრინციპით ავაგებთ სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობას, მაშინ ჩვენი ახალგაზრდობა მიიღებს მტკიცე ცოდნას და ამასთანავე გაიელის ცხოვრების კარგ სკოლს ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის რიგებში, კოლმეურნე გლეხობის რიგებში, უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საზოგადოებრივ შრომაში ფასეულობათა შესაქმნელად, ურომლისოდაც ვერ იცხოვრებს და ვერ განვითარდება საზოგადოება. **(მქუხარე ტაში).**

ხოლო საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში უმაღლესი სასწავლებლებისათვის შერჩევა უნდა წარმოებდეს კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით **(მქუხარე ტაში),** რომლებიც ობიექტურად შეაფასებენ, როგორ მუშაობს ადამიანი, როგორ სწავლობს, როგორ უჭირავს თავი კოლექტივში. ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ თვითეულს დაეკისრება მეტი მორალური პასუხისმგებლობა იმ კოლექტივის წინაშე, რომელშიც იგი მუშაობს, შეეცდება პატივისცემა დაიმსახუროს კოლექტივში თავისი შრომით და ამხანაგური დამოკიდებულებით. ჩემი აზრით, ეს კარგი იქნება, ამხანაგებო. **(მქუხარე ტაში).**

მე მიმაჩნია, რომ საჭიროა ვიფიქროთ ქარხანა-უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების მუშაობის განახლებაზე. წარსულში ამან საკმაოდ კარგი შედეგები მოგვცა და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მუშაობს ბევრი ინჟინერი, რომლებმაც ასეთი გზით მიიღეს ცოდნა და სპეციალისტთა დიპლომები. და უნდა ითქვას, რომ მათგან დიდ უმრავლესობას შეადგენენ ძალიან კარგი ინჟინრები, თავიანთი საქმის მცოდნე სპეციალისტები.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადება უნდა წარმოებდეს დიდ საბჭოთა მეურნეობებთან მოწყობილ ინსტიტუტებში. იქ უნდა იყოს სასწავლო კორპუსები, ლაბორატორიები და მეურნეობები პრაქტიკული მუშაობისათვის. ან, ყოველ შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებთან უნდა იყოს მძლავრი სანიმუშო სასწავლო მეურნეობები. სტუდენტებმა თვითონ უნდა უვლიდნენ ცხოველებს, რემონტს უკეთებდნენ მანქანებს, შეეძლოთ ამ მანქანების მართვა, თვითონ უნდა თესავდნენ, მოჰყავდეთ მოსავალი და იღებდნენ მას. და საერთოდ, ამხანაგებო, საჭიროა უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები დიდი ქალაქებიდან გადავიტანოთ სასოფლო რაიონებში. **(ტაში).**

სასოფლო რაიონებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-საკვლევ საცდელ სადგურებში შესანიშნავი ახალგაზრდობაა, რომელმაც განათლება მიიღო საშუალო სკოლაში და იცნობს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წარმოებას. ამავე დროს ახლა ჩვენში არიან ისეთი სტუდენტები, ტიმირიაზევის აკადემიაშიც კი, რომლებსაც არ შეუძლიათ ნორჩი კანაფი და ჭინჭარი ერთმანეთისაგან გაარჩონ, თუ ხელი არ დაისუსხეს ჭინჭრით. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).**

ზოგიერთ ჩვენს სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო მეურნეობებია, მაგრამ იქ ცხოველებს, რომლებიც სტუდენტებმა უნდა შეისწავლონ, მუშები უვლიან. რა ბატონკაცური წესია ეს? ასეთი წესის დროს სტუდენტს, როცა ფერმაში მიდის, ისე ეშინია, როგორც ეშმაკისა, როცა ძროხა თავს აქნევს. **(სიცილი დარბაზში, ტაში).** დაე იმ ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა, რომლებიც მოსკოვში ან სხვა დიდ ქალაქებში ცხოვრობენ, მაპატიონ, თუ ვიტყვი მათთვის არასასიამოვნო რამეს. მაგრამ მე უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთი მათგანი ამ უმაღლეს სასწავლებლებში მოვიდა არა იმიტომ, რომ გრძნობს მოწოდებას იშრომოს სოფლის მეურნეობაში, არამედ იმიტომ, რომ სხვა უმაღლეს სასწავლებელში იგი არ მიიღეს. და გამოდის, როგორც ძველათ ამბობდნენ, როცა მშობლებს არა სურდათ ქალის გათხოვება სხვა სოფელში: „დაე თუნდ ციხგლიანს გაჰყვეს, ოღონდ თავის სოფელშიო“. **(სიცილი, ტაში).** ზოგიერთი, არჩევს რა სასწავლებლებს, ასეთივე „პრინციპით“ ხელმძღვანელობს. ხოლო როცა ასეთი ადამიანი ამთავრებს სასწავლებელს, მას ქალაქიდან ფეხს ვერ გააღგმევინებ. **(საერთო სიცილი).** იგი თანახმაა ყოველი საქმე აკეთოს, ოღონდ კი არ წავიდეს მოსკოვიდან, ან ვორონეჟიდან, ან კიევიდან. **(სიცილი, ტაში).**

ხოლო როცა უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში შევლენ მეტწილად ისეთი ადამიანები, როგორიც არიან აქ ჩვენს წინაშე ყრილობაზე გამოსული სოციალისტური შრომის გმირი ანა ილჩენკო ჩერკასის ოლქიდან ან სმოლენსკის ოლქის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანატოლი რასკაზოვი, მაშინ სულ სხვა იქნება. **(მქუხარე ტაში).** ასეთ ადამიანებს სწავლის დამთავრების შემდეგ როდი უნდა ვეხვეწოთ, რომ წავიდნენ კოლმეურნეობებში, რადგან მათ სწორედ ისეთი შრომის ორგანული მოთხოვნილება აქვთ, რომელიც უყვართ. ისინი კიდევ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანენ ჩვენს საზოგადოებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

უნივერსიტეტების, სამედიცინო, პედაგოგიური და სხვა უმაღლესი სასწავლებლების მუშაობაც მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ პრაქტიკას, ცხოვრებას. რა თქმა უნდა, ამ კავშირის ფორმები გულდასმით უნდა მოვიფიქროთ.

აი ზოგიერთი აზრი, რომლებიც მინდოდა გამეზიარებინა თქვენთვის, ამხანაგო კომკავშირელებო.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახლა ფიქრობს სახალხო განათლების სისტემისა და საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა კადრების მომზადების გაუმჯობესების საკითხებზე. საჭიროა უზრუნველვყოთ ადამიანთა უკეთ მომზადება ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ სპეციალისტთა მომზადების საქმე.

უნდა ვისწავლოთ ცხოვრება და მუშაობა კომუნისტურად

ამხანაგებო! კომუნისტურმა პარტიამ დასახა კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა. ჩვენ უნდა დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს — მსოფლიოში ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას — ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ეს უდიდესი სამუშაოა და იგი ძირითადად ახალგაზრდებს დააწვება მხრებზე. ახალგაზრდობას უყვარს შეჯიბრება, და კომკავშირი უნდა გახდეს წარმოების ზრდისათვის სოციალისტური შეჯიბრების ნამდვილი წამომწყები. მაგრამ ისე, რომ წამომწყებნი, ხატოვნად რომ ვთქვათ, სწორ ტონს იღებდნენ კამერტონით. **(სიცილი).**

თქვენ თვითონ კარგად იცით, რომ აქა-იქ კომკავშირში გვხვდებიან მოლაყბეებიც, რომლებსაც უყვართ ხმაური, ალმების, პრემიების დაარსება, ხოლო როცა იწყება ყოველდღიური მუშაობა, ხედავ—საქმეში მათი კვალიც ალარ ჩანს. საქმე უნდა შევაფასოთ არა იმის მიხედვით, თუ ვინ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობს, არამედ საქმის არსის მიხედვით.

როდესაც ახალგაზრდობას ვუსახავთ კონკრეტულ ამოცანას და ამ ამოცანის გარშემო სერიოზული პოლიტიკური მუშაობა წარმოებს, წარმატება უზრუნველყოფილია. საჭიროა, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები კარგად გრძნობდნენ ახალგაზრდობის ამ მისწრაფებას დიდი და მნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანებისადმი და კომკავშირს ანდობდნენ მათს შესრულებას. საჭიროა მხოლოდ, რომ მოფიქრებით წარმართონ და, მე ვიტყოდი, დაიცვან ახალგაზრდობის კარგი მისწრაფება, ენთუზიაზმი.

მოვუწოდებთ რა ახალგაზრდობას ახალი შრომითი საქმეებისათვის, უნდა ვიზრუნოთ, რომ ახალგაზრდამ შეიძინოს სპეციალობა, უნდა ვიზრუნოთ მისი საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის. სამწუხაროდ, არიან ისეთი სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებიც საკმაო ყურადღებას არ უთმობენ საყოფაცხოვრებო საკითხებს, ხოლო უამისოდ შეუძლებელია კარგად მოვაწყოთ ადამიანთა მუშაობა. უნდა დავაკმაყოფილოთ იმ ახალგაზრდების გონივრული მოთხოვნები, რომლებიც მშენებლობებზე მოდიან. თვითეულმა კომკავშირელმა, რომელმაც მუშაობის საგზური მიიღო დაუსახლებელ ადგილებში, იცის, რომ მიდის იქ, სადაც ჯერ კიდევ არ არის კეთილმოწყობილი ქალაქები ტროლეიბუსებით, კონსერვატორიებით, აუზებით. ახალმშენებლობებზე მიდიან ახალგაზრდა პატრიოტები, რომლებსაც თავიანთ გზაზე სიძნელეებისა არ ეშინიათ.

ახალი მიწები და ახალმშენებლობანი მამაცობის კარგი სკოლა გახდა ათეულათასობით ქალიშვილისა და ჭაბუკისათვის. ჩვენ კვლავაც უნდა ავითვისოთ შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის სიმდიდრენი. ახლა კომკავშირი ძლიერ კარგად გვეხმარება ჩვენი მეტალურგიის განვითარებაში — აშენებს ბრძმედებს, მარტენებს. რიგში დგას მონაწილეობა ქიმიური მრეწველობის მშენებლობებში. ქიმია ჩვენს სახალხო მეურნეობას მისცემს ბევრ სასარგებლო ნაწარმს მრეწველობისათვის, მშენებლობისათვის. იგი მოგვცემს ყველაფერს, რასაც იცვამს ადამიანი: ქსოვილებს, ბეწვეულს, ტყავის ნაწარმს და ბევრ სხვა საჭირო საგანს.

რა თქმა უნდა, ყველა ახალგაზრდა ვერ გამოიყენებს თავის ძალებს თვალსაჩინო მშენებლობებზე. ყველას როდი მოუხდება წასვლა შორეულ ადგილებში. შესაძლოა საკითხს ასეთმა დასმამ ზოგიერთ თქვენგანს ცოტათი გული გაუგრილოს და ისინი იტყვიან — აი ყველასათვის როდია გმირობის, რომანტიკის გზაო.

ახალგაზრდობას სჩვევია რომანტიკით გატაცება. ეს კარგია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ლენინის ანდერძი — ყოველდღე, ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში პრაქტიკულად გადავჭრათ საერთო შრომის, თუნდაც სულ მცირე, თუნდაც სულ უბრალო ესა თუ ის ამოცანა.

ახალგაზრდობაში მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც გვეტყვიან: აბა რა რომანტიკაა იმუშაო, ვთქვათ, მეშახტედ ან მწველავად, ხარატად ან შეღორედო. რა გმირობა შეიძლება გამოიჩინო აქ? სხვა საქმეა ყამირი ან ბრატსკის ჰესის მშენებლობა, იქ შეიძლება თავი გამოიჩინო, იქ ნამდვილი ცხოვრებაა!

სწორია თუ არა ასეთი მსჯელობა? მე მგონია, რომ არა. კომკავშირი მოწოდებულია ჩაუნერგოს და განუვითაროს ახალგაზრდებს სიყვარული და პატივისცემა ყოველგვარი საქმისადმი, რომელიც ხალხს ესაჭიროება, ყოველგვარი პროფესიისადმი.

მსურს ხაზგასმით აღვნიშნო ტექნიკის შესწავლისა და დაუფლების დიდი მნიშვნელობა. ახლა სოფლად, როცა მტს-ების რეორგანიზაციას ვახდენთ და მანქანებს ვაძლევთ კოლმეურნეობებს, არაჩვეულებრივად ძლიერდება სოფლის კომკავშირის როლი ტექნიკის შემდგომ დაუფლებაში. დარწმუნებული ვართ, რომ სოფლის კომკავშირელები ქალაქების ახალგაზრდობასთან თანამშრომლობით უზრუნველყოფენ ახალ პირობებში ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ყველაზე ნაყოფიერ გამოყენებას.

ამხანაგებო! დიდი ამოცანები დგას კომკავშირის წინაშე, დიდ იმედს ამყარებენ მასზე პარტია, საბჭოთა ხალხი. უნდა იფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოაწყოთ უკეთ საქმე, რათა წარმატებით შეასრულოთ ეს ამოცანები. ორგანიზაციული მუშაობა, უნარი გამოვნახოთ ხელმძღვანელობის საუკეთესო ფორმები და მეთოდები — დიდი ხელოვნებაა, და თქვენ უნდა დაეუფლოთ მას.

კომკავშირს საქმე აქვს ახალგაზრდებთან, რომლებიც თავიანთი ბუნებით ამთვისებელი, განმცდელი, გატაცების უნარის მქონე არიან. ისინი ყველაფერს ეუფლებიან, გადაიღებენ. საქმის უხეირო, ხოლო კიდევ უარესი, ბიუროკრატიულ ორგანიზაციას შეუძლია ზიანი მოუტანოს ახალგაზრდობის აღზრდას, ჩამოაშოროს იგი კომკავშირს. სიცოცხლე კომკავშირულ ორგანიზაციებში პირდაპირ უნდა დუღდეს და ინიციატივა ჩქეფდეს. მაშინ ყველასათვის ძნიხანება საინტერესო საქმე და ახალგაზრდები აღარ დაიწყებენ ჩივილს, რომ მოწყენილი არიან კომკავშირულ ორგანიზაციაში. ხოლო ასეთი ჩივილი ახლა ხშირად შეიძლება გაიგონოთ.

ჩვენ ყველანი სავსებით სამართლიანად ვაღიარებთ, რომ კომკავშირმა უკანასკნელ წლებში, ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ათეულ, ასეულ ათასობით, მილიონობით ქალაშვილმა და ჭაბუკმა. მაგრამ აი რაზე უნდა დავფიქრდეთ: მოიცავს თუ არა კომკავშირი თავისი გავლენით მთელ ახალგაზრდობას, აბამს თუ არა ყველას იმ დიდ საქმეებში, რომლებსაც იგი აკეთებს? უფრო მეტიც, ყველა კომკავშირელი მონაწილეობს თუ არა თავისი ორგანიზაციის ცხოვრებაში, ყველა იღებს თუ არა კომკავშირში იმას, სწორედ რისთვისაც იქ მივიდა — პოლიტიკურ წრთობას, საზოგადოებრივი საქმიანობის ჩვევებს, ახალ ცოდნას, კარგ ამხანაგებს, რომლებთანაც საინტერესოა გაზიარო შრომისა და დასვენების საათები? თუ სიმართლეს არ უღალატებთ, უნდა აღიაროთ, რომ აქ თქვენ სერიოზული ნაკლოვანებები გაქვთ.

კომკავშირი ჩვენში დიდია. კომკავშირშია თვრამეტი მილიონი ქალიშვილი და ჭაბუკი. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ადამიანები ასობით და ათასობით ვითვალოთ და ცალკე ადამიანი კი დავივიწყოთ.

კომკავშირის მთელი საქმიანობა გამსჭვალული უნდა იყოს ყოველი ახალგაზრდისადმი ყურადღებით, მისი საწარმოო ზრდისათვის, სწავლისათვის, კულტურული განვითარებისათვის ზრუნვით.

აღზრდა კომკავშირში უფრო წარმატებით მოეწყობა, როცა დიდი კამპანიების დროს, რომლებიც მრავალ ათას ადამიანს მოიცავენ, დავიწყებული არ იქნებიან ცალკეული ადამიანები მათი ინტერესებით და მოთხოვნილებებით. საერთო ღონისძიებებით უნდა დავეხმაროთ ადამიანს გადალახოს ცხოვრების სიძნელენი და გაჭირვება, თვალყური ვადევნოთ იმას, რომ იგი არ შეჩერდეს თავის განვითარებაში, არ მოეკიდოს ობივატელური ობი. ხოლო თუ ასეთი რამ მოხდა — გაბედულად გავაკრიტიკოთ ამხანაგურად. როცა ადამიანს ცხოვრების ძლიერი ქარი უბერავს, ძალიან კარგი გამოდის.

აქ ბევრს ლაპარაკობდნენ თვითმოქმედებაზე კომკავშირულ მუშაობაში. და ეს სწორია. ხშირად ისმის ჩივილი კლუბების, კულტურის სახლების, სტადიონების ცუდ მუშაობაზე, იმაზე, რომ ყოველ ქალაქში ან სოფელში ახალგაზრდობას არა აქვს შესაძლებლობა დაისვენოს კულტურულად, ეწეოდეს ფიზკულტურასა და სპორტს. ამ ჩივილში ბევრი რამ არის სამართლიანი.

ჩვენს ქვეყანაში არის ასეულ ათასობით კლუბი, კულტურის სახლი, ქოხ-სამკითხველო, ბიბლიოთეკა, სტადიონი, სასპორტო მოედანი. მაგრამ ხალხის სულიერი მოთხოვნილებები სულ უფრო იზრდება და კულტურული კერები არა გვყოფნის. თანაც ზოგიერთი კულტურული კერა ცუდად მუშაობს, ვერ აკმაყოფილებს ახალგაზრდობის მოთხოვნილებებს.

სახელმწიფო დაწესებულებები, პროფკავშირები არ იყენებენ მთელ სახსრებს ახალი კულტურული მშენებლობისათვის. დიდი და სულ უფრო მზარდი შესაძლებლობები აქვთ კოლმეურნეობებს. არ ვარგა, როცა მდიდარ კოლმეურნეობაში კარგი კულტურული კერა არ არის. საკითხია, რისთვის მდიდრდებიან ასეთი კოლმეურნეობები? ყულაბისათვის ხომ არა, არამედ იმისათვის, რომ ადამიანთა ცხოვრება გაუმჯობესდეს, რომ უფრო სრულად კმაყოფილდებოდეს მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. საჭიროა, რომ ეკონომიურად ძლიერმა კოლმეურნეობებმა მეტი აშენონ კლუბები, სკოლები, ინტერნატები. კომკავშირელები უფრო აქტიურად უნდა აყენებდნენ ამ საკითხებს კოლმეურნეობათა კამეობების წინაშე, ხოლო პარტიულმა ორგანიზაციებმა მხარი უნდა დაუჭირონ მათ.

მაგრამ შევხედოთ საქმეს მეორე მხრიდან. განა არ შეუძლია ახალგაზრდობას თავისი ძალებით, თავისი ხელით წესრიგზე მოიყვანოს ბევრი კულტურული დაწესებულება, რომლებიც ახლა უყურადღებოდ არის მიტოვებული? განა არ შეიძლება ამ დაწესებულებებში მოვაწყოთ შინაარსიანი აღზრდა-განათლება და სასარგებლო მუშაობა? რა თქმა უნდა, შეიძლება. მაგრამ არიან ახალგაზრდობაში კმაყოფაზე მყოფნი, რომლებსაც სურთ ყველაფერი მზამზარეულად მიიღონ, როგორც ზეცის მანანა. თუ ხელფასიანი გამგე არ არის, კლუბიც გამოკეტილია, თუ ხელფასიანი მწვრთნელი არ არის, თითქოს ფიზკულტურაში მეცადინეობაც არ შეიძლებოდეს.

ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი იმდენად შეეჩვია ბიუროკრატიულ ფორმებს, რომ ახლა, როცა ამ ფორმებზე ხელი უნდა აიღონ, მათ შიში ეუფლება.

მაგალითად, განიხილავენ საკითხს, რომ ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაციას ხელი მოჰკიდონ პროფკავშირებმა. ეს დღევანდელი დღის საქმე კი არ არის, არამედ მომავლისაა. მაგრამ ზოგიერთ ამხანაგს ეშინია, რომ პროფკავშირები ვერ მოაწყობენ ფიზკულტურულ შეჯიბრებებს, რომ ფიზკულტურას აუცილებლად უნდა განაგებდნენ სახელმწიფო ორგანოები, რომ საჭიროა სახელმწიფო ინსპექტორი. თუ ასეთი ინსპექტორი იქნება, მაშინ იხტუნავებენ, ირბენენ, იცურავებენ, ხოლო თუ იგი არ იქნა, ყველაფერი დაინგრევა. მაგრამ ეს რაღაც სისულელეა. რაო, ჩვენ კომუნიზმშიც ფიზკულტურის სახელმწიფო ინსპექტორიანად წავალთ? **(გამოცოცხლება დარბაზში).**

გავიგე, რომ ზოგან ახალგაზრდობის საღამოების მოწყობას იწყებენ იმით, რომ ურეკავენ მილიციას:

— გამოგზავნეთ მილიციელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

საზოგადოებრიობამ, მათ შორის კომკავშირულმა საზოგადოებრიობამ, სულ უფრო მეტი როლი უნდა შეასრულოს ნაკლოვანებათა და მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენს ცხოვრებაში ახლის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. სწორი არ არის საქმე იმით ამოვწუროთ, რომ ყველაფერი აკეთონ სახელმწიფოს ორგანოებმა. რაღა თვითმოქმედებაა, თუ ყველგან იქნებიან დამრიგებლები და ძიძები ხელფასიანი ინსტრუქტორების, პროპაგანდისტების, ფიზკულტურის ინსპექტორებისა და სხვა მუშაკების სახით!

ჩვენ ვამბობთ, რომ პომუნიზმის დროს სახელმწიფო მოკვდება. მაშრა ორგანოები დარჩება? საზოგადოებრივი ორგანოები! კომკავშირი ერქმევა მათ, პროფკავშირები თუ რაიმე სხვა, ეს იქნება საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობით საზოგადოება · მოაწესრიგებს თავის ურთიერთობას. ახლავე უნდა გავუკაფოთ გზა ამას, მივაჩვიოთ ადამიანები, რომ მათ გამოუმუშავდეთ ასეთი მოქმედების ჩვევები.

კომკავშირი სულ უფრო მეტად უნდა გახდეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ახალგაზრდობას ჩაუნერგავს უნარს იცხოვროს კომუნისტურ საზოგადოებაში და მართოს მისი საქმეები. რა არის ამისათვის საჭირო ახლა? უფრო ფართოდ გააჩაღოთ თვითმოქმედება. ენერგია თქვენ ბევრი გაქვთ. შეგიძლიათ უფრო არსებითი დახმარება გაუწიოთ მუშაობაში პროფკავშირებს, ადგილობრივ საბჭოებს.

მაგალითად, როგორ წავიდოდა წინ ქალაქების, მუშათა დაბების, სოფლების კეთილმოწყობა, თუ კომკავშირი საბჭოებთან ერთად ჯეროვნად მოჰკიდებდა ხელს ამ საქმეს. დავამყაროთ სისუფთავე და წესრიგი ქუჩებსა და ეზოებში, სადაც ჩვენი ბავშვები თამაშობენ, გავამწვანოთ ქუჩები და გზები, გავაშენოთ ახალი პარკები, დავიცვათ ტყეები და მდინარეები ბრაკონიერობისა და უყაირათო სამეურნეო მუშაკებისაგან — რა საინტერესო და ხალხისათვის საჭირო საქმეა ეს! ამ და ათობით სხვა სასარგებლო საქმეში კომკავშირელები უფრო მალე შეიძენდნენ კომუნიზმისაკენ მიმავალი საზოგადოების მართვის ჩვევებს.

ჩვენმა პარტიამ დაისახა დიადი მიზანი — ააშენოს კომუნისტური საზოგადოება, რომელშიც ყველა ადამიანი ბედნიერად იცხოვრებს, სადაც სრული გასაქანი მიეცემა ყველა ადამიანისა და თვითეული უნარის და ნიჭის გამოვლინებას.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირს დიდი მიღწევები აქვს საერთაშორისო ასპარეზზეც. უმაგალითოდ გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი. ახლა სულ უფრო მეტი ადამიანი რწმუნდება, რომ საბჭოთა კავშირი თავის საგარეო პოლიტიკაში ხელმძღვანელობს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპებით, რომ ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ მშვიდობით და მეგობრობით ყველა ხალხთან, გვსურს განვავითაროთ ვაჭრობა, გავცვალოთ მეცნიერული მიღწევები, ფართო კონტაქტები გვქონდეს კულტურის, სპორტის მიღწევების გაცვლის საკითხებში. ყველა ქვეყნის ადამიანები სულ უფრო რწმუნდებიან, რომ საბჭოთა კავშირი არ ისწრაფვის თავს მოახვიოს სხვა ქვეყნებს თავისი სოციალისტური სისტემა, რადგან სახელმწიფო წყობილების საკითხი თვითეული ქვეყნის ხალხის საშინაო საქმეა.

ოდესღაც ჩვენი ქვეყანა მარტოდმარტო იყო კაპიტალისტურ სამყაროში. ახლა კი კომუნიზმის გზით ჩვენთან ერთად მიდიან დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა მომძლე სოციალისტური ქვეყნები. დაახლოებით მილიარდი ადამიანი გაერთიანებულია ერთიანი მიზნით, ეხმარება ერთმანეთს. ჩვენი მონოლითური ერთიანობა, მეგობრობა და თანამშრომლობა კომუნიზმის საქმის უძლეველობის საწინდარია. იზრდება და მტკიცდება სოციალიზმის ქვეყნების მსოფლიო სისტემა. **(ხანგრძლივი ტაში).**

მაგრამ ჩვენ, ამხანაგებო, საღად უნდა შეგვაფასოთ გვითარება და გამოვიჩინოთ სიფხიზლე. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჯერ კიდევ არიან ძალები, კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ არიან მონოპოლისტთა საკმაოდ გავლენიანი ჯგუფები, რომლებიც, ისახავენ რა იმპერიალისტურ მიზნებს, ვერ ურიგდებიან იმას, რომ არსებობენ და ვითარდებიან სოციალიზმის ქვეყნები.

საბჭოთა კავშირმა ამ ბოლო დროს შეიტანა ბევრი წინადადება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, განახორციელა მთელი რიგი უდიდესი ღონისძიებანი ამ მიმართულებით. საბჭოთა კავშირის წინადადება განიარაღების, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის, სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის საკითხებზე და ჩვენი სხვა მშვიდობისმოყვარული წინადადებები უდიდეს მხარდაჭერას პოულობენ ყველა ქვეყნის ხალხებში.

მთელი მსოფლიო მიესალმა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მაგრამ მონოპოლისტური, მილიტარისტული წრეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ განაგრძონ „ცივი ომი“, რომ არ იქნას მიღწეული შეთანხმება სახელმწიფოთა შორის, ეწევიან გამალებულ შეიარაღებას. ხოლო ცნობილია, რომ გამალებული შეიარაღება ომისათვის მზადებაა.

კვლავაც განვახორციელებთ რა მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ჩვენ მუდამ უნდა ვზრუნავდეთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა ხალხს, რომელმაც შექმნა სოციალისტური სახელმწიფო და ააშენა სოციალიზმი, ახარებს თავისი შრომის შედეგები, იგი მტკიცე ნაბიჯით მიდის კომუნიზმისაკენ.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გვყავს მტრები, რომლებსაც სურთ მოსპონ ყველა ჩვენი მონაპოვარი. უნდა შეგვეძლოს დავიცვათ მოპოვებული. ეს კი ნიშნავს, რომ უნდა ვზრუნავდეთ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისათვის, ვგზავნიდეთ იქ საუკეთესო ახალგაზრდობას, ვზრდიდეთ მთელ ჩვენს ახალგაზრდობას დისციპლინის ლენინური გაგების სულისკვეთებით. **(ხანგრძლივი ტაში).**

კომკავშირი უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ ჩვენს არმიაში მიდიოდნენ განათლებული ადამიანები, რადგან შეიარაღების თანამედროვე საშუალებანი მოითხოვენ დიდ ცოდნას. ახალი იარაღის დასაუფლებლად, რომლითაც საბჭოთა ქვეყანამ შეაიარაღა თავისი არმია, უნდა გვყავდნენ მომზადებული, განათლებული მებრძოლები, რომ ისინი იყვნენ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მოთხოვნების დონეზე.

ჩვენი შეიარაღებული ძალები მუდამ უნდა იყვნენ მზად გასცენ ჯეროვანი პასუხი, თუ მტერი შეეცდება თავს დაესხას ჩვენს ქვეყანას, ხელყოს საბჭოთა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

დარწმუნებული ვართ, რომ თუ იმპერიალისტები თავს მოგვახვევენ ომს, ეს იქნება უკანასკნელი ომი, რადგან ხალხები ვეღარ მოითმენენ კაპიტალისტურ წყობილებას, რომელიც წარმოშობს ომებს და იწირავს მილიონობით საუკეთესო ადამიანის სიცოცხლეს.

ამხანაგებო! კეთილშობილურია კომკავშირის მოვალეობა აღზარდოს საბჭოთა ახალგაზრდობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, იმ სულისკვეთებით, რომ მტკიცდებოდეს და ფართოვდებოდეს ძმური ურთიერთობა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობასთან, დედამიწის მთელ ახალგაზრდობასთან, რომელიც იბრძვის მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ჩვენს პლანეტაზე.

ჩვენ ცოტა მძიმე დაბრკოლება როდი გადავლახეთ კომუნიზმის მიღწევის გზაზე. მაგრამ პარტიას არასოდეს არ გადაუხვევია არჩეული გზიდან. კომუნისტური პარტია ყველაზე რევოლუციური პარტიაა, მუშათა კლასის პარტიაა. იგი მუდამ ემყარებოდა და ემყარება ხალხის ფართო მასების ნდობასა და მხარდაჭერას.

პარტია მუდამ ზრუნავდა და ზრუნავს ახალგაზრდა ძალების აღზრდისათვის, რომლებსაც უნარი შესწევთ განაგრძონ მისი დიადი საქმე და მიიტანონ ჩვენი სახელოვანი დროშა საბოლოო გამარჯვებამდე. **(ხანგრძლივი ტაში).**

კომუნისტური პარტია მთელ თავის საქმიანობაში მუდამ ხელმძღვანელობს ყველაზე მოწინავე მოძღვრებით — მარქსიზმ-ლენინიზმით, შემოქმედებითად ავითარებს მას, და ეს საშუალებას აძლევს პარტიას ყველაზე ძნელ პირობებში, მოვლენების უაღრესად რთული გადახლართვისას მიიღოს სწორი გადაწყვეტილებანი, გამონახოს სწორი გზა.

ჩვენში ახალგაზრდები სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმს. მაგრამ თუ მარტო დაიზეპირებთ მარქსიზმის ჭეშმარიტებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერება შეითვისოთ ფუჭად, სასარგებლო დატვირთვის უქონლად. თქვენ კი იცით, რომ თუ კბილანა ფუჭად ტრიალებს, მანქანა ადგილზე დგას. ჩვენ მოვალენი ვართ ჩავუნერგოთ ახალგაზრდობას ლენინიზმის ცხოველმყოფელი ცოდნა, იმის უნარი, რომ დაუკავშიროს მისი შესწავლა პრაქტიკას.

კომკავშირი ლენინის სახელს ატარებს — ახალგაზრდა ლენინელები ლენინის იდეების, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის აქტიური და მგზნებარე დამცველები უნდა იყვნენ.

ლენინის სახელის ტარება კომკავშირული ორგანიზაციისათვის არა მარტო სასიამოვნოა, არამედ პასუხსაგებიც არის. და თუ მოკლედ ჩამოვაყალიბებთ ამ პასუხისმგებლობას, იგი შემდეგია: უნდა ვსწავლობდეთ ლენინს და ცხოვრებაში ვიყენებდეთ მის უდიდეს თეორიულ მემკვიდრეობას, ვიყოთ ლენინის იდეების დარწმუნებული პროპაგანდისტები, ვაშენებდეთ ცხოვრებას ლენინისებურად, ვიწეოდეთ აღზრდას ისე, რომ თვითეული საბჭოთა ახალგაზრდა ცდილობდეს შეიძინოს ხასიათის ლენინური ნიშნები.

ახლა, როცა ჩვენი ხალხი აგებს კომუნიზმის დიდებულ შენობას, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორი მშენებლები შეგვცვლიან ჩვენ ხვალ, რათა დაამთავრონ ეს მშენებლობა. ამიტომ კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი დაუცხრომლად ზრუნავენ იმისათვის, რომ აღზარდონ ახალგაზრდა თაობა გაბედული, ძლიერი, ხალისიანი, იდეურად გამოწრთობილი, რომელსაც ღრმად სწამს ჩვენი დიადი საქმის გამარჯვება. ამიტომ პარტია ზრუნვით და ყურადღებით ეპყრობა ლენინურ კომკავშირს — პარტიის მებრძოლ თანაშემწეს, მის საიმედო რეზერვს. **(მქუხარე ტაში).**

მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი მრავალმილიონანი კომკავშირი კვლავაც გაამართლებს პარტიის, ჩვენი ხალხის იმედს, პირნათლად და ღირსეულად შეასრულებს დიდი ლენინის ანდერძს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა ახალგაზრდობას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელსაც ჩვენი ხალხი მტკიცედ მიჰყავს წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები: „კომუნისტურ პარტიას დიდება!“, „პარტიას დიდება, დიდება!“, „გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! ვაშა!“).**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის XIII ყრილობა ჩვენი ქვეყნის კომკავშირელების, ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელით მგზნებარე კომკავშირულ სალამს უთვლის მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

ახალგაზრდა თაობის ფიქრები და გრძნობები მიპყრობილია პარტიისადმი, საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლისადმი. პარტიამ გაგვზარდა სოციალისტური სამშობლოს ერთგულ შვილებად, კომუნიზმისათვის ძლიერ და გაბედულ მებრძოლებად. მან საბჭოთა ახალგაზრდობას შეუქმნა შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ტალანტის განვითარების ყველა შესაძლებლობა. ჩვენს ახალგაზრდობას წილად ხვდა დიდი ბედნიერება იცხოვროს იმ ქვეყანაში, სადაც გაიმარჯვა ყველაზე მოწინავე, ყველაზე ჰუმანურმა საზოგადოებრივმა წყობილებამ.

კომკავშირისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებმაც საბჭოთა ხალხი შეაიარაღეს კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამით. პარტიის XX ყრილობამ გაამდიდრა საკავშირო ალკკ საქმიანობა, გამოიყვანა კომკავშირი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის ფართო გზაზე. პარტიის დიდმა ნდობამ ფრთები შეასხა ახალგაზრდობას, ახალი შრომითი გმირობისათვის დარაზმა იგი.

მუშებთან და გლეხებთან ერთად შრომაში, კომუნიზმისათვის ბრძოლაში იზრდებიან ქალიშვილები და ჭაბუკები, ვაჟკაცდება და იწრთობა სოციალიზმის ქვეყნის ახალგაზრდა თაობა. პარტიის მოწოდებით ახალგაზრდა პატრიოტები ეწევიან თვალუწვდენი ყამირი მიწების ათვისებას, აშენებენ ქარხნებს, შახტებს, მაღაროებს, ბრძმედებს, ელექტროსადგურებს, გაჰყავთ რკინიგზები, იბრძვიან მარცვლეულის, ხორცის, რძის, კარაქისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის. საერთო-სახალხო შრომაში მკაფიოდ იჩენს თავს ზნეობრივი სილამაზე ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანისა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა.

ყრილობის დელეგატებმა, კომკავშირელებმა, მთელმა საბჭოთა ახალგაზრდობამ უდიდესი სიხარულით და აღფრთოვანებით მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საკავშირო ალკკ XIII ყრილობისადმი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება და ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა წარმოადგენს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში, პარტიის ბრძნულ წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის მთელი მისი ძალების შემდგომ მობილიზაციაში კომკავშირის მუშაობის შთაგონებულ და საბრძოლო პროგრამას.

იხელმძღვანელა რა პარტიის მითითებებით, XIII ყრილობამ შეიმუშავა კომკავშირის მოღვაწეობის უახლოესი წლების კონკრეტული პროგრამა და პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ლენინური კომკავშირი პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც გაზრდის შეგნებულ, კომუნიზმისათვის მტკიცე მებრძოლებს, ახალგაზრდობის მასებში შეიტანს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებს, აღზრდის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით, მტრების ხელყოფისაგან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით. კომკავშირი ყოველივეს გააკეთებს იმისათვის, რომ ქალიშვილები და ჭაბუკები იზრდებოდნენ მცოდნე, კულტურულ ადამიანებად, ეუფლებოდნენ მეცნიერების, ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს, იყვნენ მხნენი და სიცოცხლისუნარიანნი, ჯანმრთელნი და შრომისმოყვარენი.

საკავშირო ალკკ XIII ყრილობამ კომკავშირელებს, მთელ ახალგაზრდობას მოუწოდა უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, გულმხურვალედ, მებრძოლურად ჩაებან მრეწველობაში ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლაში. კომკავშირმა იკისრა შავი მეტალურგიის, ქიმიური და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის შეფობა. ახალგაზრდა პატრიოტების ახალი რაზმები ქმედით მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში მძლავრი ინდუსტრიულ - ტექნიკური და ენერგეტიკული ბაზის შექმნაში.

სოფლის ახალგაზრდობა მტკიცე ბრძოლას გააჩაღებს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ათვისებისა და სრულად გამოყენებისათვის, იმისათვის, რომ სოფლის ყველა მშრომელთან ერთად უახლოეს წლებში დაეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ. ეს იქნება ახალგაზრდობის ღირსეული წვლილი კომუნისტური მშენებლობის იმ გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში, რომელიც პარტიამ შეიმუშავა.

საკავშირო ალკკ XIII ყრილობამ გამოაცხადა ლაშქრობა ახალგაზრდობის კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის. ქალაქებსა და მუშათა დაბებში, საკოლმეურნეო სოფლებში აინთება ახალი კლუბებისა და კულტურის სასახლეების შუქი, ფართოდ გაიღება ახალი სკოლების, ბიბლიოთეკების კარი. ქალიშვილები და ჭაბუკები თავიანთი ხელით ააგებენ სტადიონებს, გააშენებენ პარკებსა და სკვერებს, გაამწვანებენ გზებსა და ავტოსტრადებს. ჩვენ ყოველივეს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლო უფრო მშვენიერი გახდეს.

საბჭოთა ახალგაზრდობა მხურვალე მადლობას უძღვნის პარტიასა და მთავრობას მტკიცე მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის დაუცხრომელი და თანმიმდევრული ბრძოლის გამო. მაღლა აღმართავენ რა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას, ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები და ჭაბუკები კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცებენ მეგობრობას ჩინეთის, ყველა სოციალისტური ქვეყნის სახელოვან ახალგაზრდობასთან, ესწრაფვიან თანამშრომლობას დედამიწის მშვიდობის მოყვარე ახალგაზრდობასთან.

კომკავშირი თავის XIII ყრილობაზე მოვიდა კომუნისტური პარტიის გარშემო ისე დარაზმული, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის უსაზღვროდ ერთგული, როგორც არასოდეს არა ყოფილა. პარტიასთან არის ჩვენი ფიქრები, ოცნება და იმედი. ჩვენთვის არაფერია პარტიის საქმეზე უფრო მაღალი და წმიდა და მას მოვახმართ ჩვენს ძალებს, ჩვენს ცოდნას, მივუძღვნით მთელ ჩვენს სიცოცხლეს.

საკავშირო ალკკ XIII ყრილობა მილიონობით ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელით პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კომკავშირი კვლავაც კომუნისტური პარტიის ერთგული და მებრძოლი თანაშემწე იქნება კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

მხურვალე და გულითადი კომკავშირული მადლობა ჩვენს მშობლიურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტების ბრძენ და მძლავრ პარტიას!

საკავშირო ალკკ XIII ყრილობა

საბჭოთა კავშირის ყველა კომკავშირელს, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს საკავშირო ალკკ XIII ყრილობის მიმართვა

ძვირფასო ამხანაგებო!

1958 წლის 29 ოქტომბერს 40 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც შეიქმნა ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირმა დიდი და სახელოვანი გზა განვლო, მის რიგებში გამოიზარდა და დავაკაცდა კომუნიზმის მილიონობით აქტიური მშენებელი. სამშობლოს საკეთილდღეოდ გმირული ბრძოლითა და შრომით კომკავშირმა საბჭოთა ხალხის საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული მოიხვეჭა.

დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა გვიანდერძა, რომ კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყველა მუშაობაში გვიწევს დახმარებას, იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას. ეს ლენინური ანდერძი იყო, არის და ყოველთვის იქნება გზისმანათებელი ვარსკვლავი ჩვენს ცხოვრებაში, კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტია მოუწოდებს კომკავშირელებს, ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მთელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საკავშირო ალკკ XIII ყრილობისადმი ახარებს და ფრთებს ასხამს ყველა ახალგაზრდა პატრიოტს, აღფრთოვანებს მათ ახალი შრომითი გმირობისათვის.

ძვირფასო მეგობრებო!

ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის XIII ყრილობამ, ხელმძღვანელობდა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით და ამოცანებით, რომლებიც მან დაუსახა კომკავშირს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ყრილობისადმი, შეიმუშავა უახლოესი წლებისათვის კომკავშირის საქმიანობის საბრძოლო და კონკრეტული პროგრამა.

ყრილობამ კომკავშირის დამკვრელ მშენებლობებად გამოაცხადა ძმიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი საწარმოები. ახალგაზრდობამ უნდა შეუწყოს ხელი იმას, რომ უმოკლეს ვადაში აშენდეს ახალი ბრძმედები და მარტენები, საკოქსავი ბატარიები და საგლინავი დგანები, უდიდესი მეტალურგიული ქარხნები. კომკავშირმა იკისრა შეფობა ხელოვნური ბოჭკოს და კაუჩუკის, პლასტიკური მასების საწარმოთა მშენებლობისადმი, ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა აგებისადმი. ახალგაზრდობამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სასპორტო ნაგებობათა მშენებლობაში, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაში.

ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ჩადექით მშენებელთა სახელოვანი არმიის რიგებში! გავაკეთოთ ყველაფერი, რათა უკვე კომკავშირის იუბილესათვის დამკვრელ სამშენებლო მოედნებზე გაჩაღებული იყოს მუშაობა. ვადამდე შეგასრულოთ მშენებლობის დაწესებული გეგმები! დაე ახალგაზრდა ხელებით აგებული საწარმოები დარჩნენ ახალგაზრდა თაობის შრომითი დიდების ძეგლად!

ახალგაზრდა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დიდი საქმეებისათვის მოგიწოდებთ თქვენ სამშობლო! უფრო ძლიერ გააჩაღეთ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ცეცხლი. მტკიცედ იბრძოლეთ ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისა და ათვისებისათვის, უკეთ გამოიყენეთ წარმოების შინარეზერვები, ნუ დაუშვებთ მანქანების, მექანიზმების მოცდენას, აუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი, მომჭირნეობით ხარჯეთ ლითონი, ელექტროენერგია, ნედლეული, სათბობი!

კომკავშირის მე-40 წლისთავი აღვნიშნოთ გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ლითონის გამოდნობით, ათასობით ტონნ ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვებით, ახალი ჩარხებისა და მანქანების გამოშვებით. მივცეთ ჩვენს ქვეყანას დამატებით მილიონობით მეტრი ქსოვილები, მილიონობით წყვილი ფეხსაცმელი, მეტი ლამაზი ტანსაცმელი და სახალხო მოხმარების სხვა საგნები!

მიმდინარე წლის გაზაფხულმა დიდი ცვლილებები მოიტანა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, გამოხატა რა ხალხის ფიქრები და სურვილები, მიიღო კანონი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ. ახლა, როცა კოლმეურნეობები ტრაქტორებს, კომბაინებსა და სხვა მანქანებს იძენენ, კიდევ უფრო გაძლიერდება კომკავშირელების, მთელი სოფლის ახალგაზრდობის როლი საკოლმეურნეო წარმოების ახალი აღმავლობისათვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაუფლებისა და უკეთ გამოყენებისათვის ბრძოლაში.

სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მშრომელებო! უფრო მაღლა ასწიეთ თესვის მოკლე ვადებისათვის, მინდვრის სამუშაოთა საუკეთესო ხარისხისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშა! ყველაფერი გავაკეთოთ, რათა მივცეთ სამშობლოს მეტი პური, ბამბა, სელი, სიმინდი, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, ხილი. კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ღირსეული წვლილი შევიტანოთ იმისათვის შეჯიბრებაში, რომ მიღწეულ იქნას ჩვენი ხალხის წინაშე მდგომი მიზანი — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ყრილობა მოუწოდებს ათასობით და ათასობით ქალიშვილებსა და ჭაბუკებს წავიდნენ სამუშაოდ ფერმებში, მიაღწიონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მაღალ პროდუქტიულობას, გვიჩვენონ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის ნიმუშები.

ქალიშვილებო და ჭაბუკებო!

ვ. ი. ლენინმა ახალგაზრდა თაობას უანდერძა ისწავლოს მუდამ და ბეჯითად. ყველა ჩვენგანისათვის საჭიროა აიმაღლოს განათლება, შეისწავლოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მოწინავე გამოცდილება და უნარიანად გამოიყენოს მიღებული ცოდნა პრაქტიკაში. ბეჯითად დავეუფლოთ მეცნიერების სიმდიდრეს, ვიყოთ კომუნიზმის იდეურად მტკიცე მშენებლები, რომლებსაც უყვართ თავიანთი დიადი სამშობლო, შეუძლიათ დაიცვან სამშობლოს ღირსება და სახელი!

მთელ თავის ნათელ ცხოვრებას ჩვენი ახალგაზრდობა უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, თავის ბრძენ მასწავლებელსა და დამრიგებელს. და ჩვენთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა ის, რომ ერთგულად და სიმართლით ვემსახუროთ ჩვენს ხალხს, თავდადებით შევასრულოთ კომუნისტური პარტიის დავალებანი.

კიდევ უფრო მტკიცედ დავიცვათ მშობლიური კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ!

კვლავაც მხურვალედ გამოვეხმაუროთ მის მოწოდებებს, წავიდეთ იქ, სადაც საჭიროა ჩვენი ახალგაზრდა და ძლიერი ხელები, ჩვენი ცოდნა და ენერგია!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს!

ღირსეულად შევხვდეთ საკავშირო ალკკ მე-40 წლისთავს!

საინფორმაციო ცნობა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

გაიმართა პირველი პლენუმი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც კომკავშირის XIII ყრილობამ აირჩია. პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა აირჩია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ა. ი. აჯუბეი, ა. ნ. აქსიონოვი, ლ. კ. ბალიასნაია, ე. კ. ბემანი, ნ. შ. ვასაძე, ვ. ი. დროზდენკო, ს. დ. კენჟებაევი, გ. ა. კრიულინი, ვ. პ. ლოგინოვი, ნ. ნ. მესიაცევი, ვ. მ. მირონენკო, კ. მურთაზაევი, ს. პ. პავლოვი, ს. კ. რომანოვსკი, ვ. ე. სემიჩასტნი, ე. ნ. სოკოლოვი, ა. ა. სოსინი.

პლენუმმა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად აირჩია: ამხანაგები ვ. პ. ლისენკო, ვ. ი. პოპოვი, პ. ნ. რეშეტოვი, გ. პ. სარაფანიკოვა, ვ. ა. საიუშევი, მ. ი. ხალდეევი, გ. პ. შატუნოვი.

პლენუმმა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. ე. სემიჩასტნი. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან: ამხანაგები ა. ნ. აქსიონოვი, ლ. კ. ბალიასნაია, ე. კ. ბემანი, ნ. შ. ვასაძე, ვ. პ. ლოგინოვი, ნ. ნ. მესიაცევი, კ. მურთაზაევი, ს. პ. პავლოვი, ს. კ. რომანოვსკი.

★ ★ ★

გაიმართა სხდომა საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიისა, რომელიც კომკავშირის XIII ყრილობამ აირჩია. სხდომამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები. საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ბ. ნ. ტემნიკოვი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტისათვის „საქართველოს დამსახურებული ანსამბლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში დიდი დამსახურებისათვის და მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს მიენიჭოს „საქართველოს დამსახურებული ანსამბლის“ საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბ

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ხელოვნების მოღვაწეებისათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და ქ. მოსკოვში საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. **გოცირიძეს** ლეილა მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს.
2. **გრიგორაშვილს** გრიგოლ მაქსიმესძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს.
3. **გომელაურს** ალექსანდრე გიორგისძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
4. **დოლიძეს** სიმონ ბესარიონის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კინორეჟისორს.
5. **დაუშვილს** კონსტანტინე დავითის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
6. **მირცხულავას** დიდიმ ლავრენტის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, **თბილისის** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის დირიჟორს.
7. **თუმანიშვილს** იოსებ მიხეილის-ძეს — რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, რეჟისორს.
8. **მშველიძეს** შალვა მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორს.
9. **ომაიძეს** ალექსანდრე ასლანის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
10. **ყუშიტაშვილს** ვასილ პავლეს-ძეს— საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორს.
11. **ჩხარტიშვილს** არჩილ ესტატეს-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის რეჟისორს.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრისა:

1. **ვირსალაძეს** სოლომონ ბაგრატის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარს.
2. **თოფურიძეს** ვალენტინ ბაგრატის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარს.
3. **მერაბიშვილს** კონსტანტინე მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარს.
4. **ქობულაძეს** სერგი სოლომონის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დირექტორს.
5. **ქუთათელაძეს** აპოლონ ყარამანის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. **ასათიანს** გიორგი იარაკლის-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოოპერატორს.
2. **გაბაშვილს** დავით ალექსანდრეს-ძეს — მხატვარს.
3. **გოკიელს** ჯემალ ივანეს-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირიჟორს.
4. **გორდეზიანს** ბენო პავლეს-ძეს — მხატვარს.
5. **დონაძეს** ვლადიმერ გრიგოლის-ძეს — მუსიკის მცოდნეს.
6. **დვალიშვილს** აკაკი არჩილის-ძეს — რეჟისორს.
7. **დუმინს** იან იანის-ძეს — ლატვიის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სახელმწიფო კაპელის კონსულტანტს.
8. **ვაშაკიძეს** კირილე ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის ხელმძღვანელს.
9. **ვიხოცკის** ფელიქს მიხეილის-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოოპერატორს.
10. **კავსაძეს** ანზორ გრიგოლის-ძეს — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის დირიჟორს.
11. **კანდელაკს** ირაკლი ისაკის-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორ-დამდგმელს.
12. **კეშელავას** ვლადიმერ ანტონის-ძეს — მხატვარს.
13. **ლაღიძეს** რევაზ ილიას-ძეს — კომპოზიტორს.
14. **მამალაძეს** ლეონიდ სარდიონის-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარს.
15. **მაისაშვილს** სევერიანე დავითის-ძეს — მხატვარს.
16. **მანაგაძეს** შოთა ილიას-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინორეჟისორს.
17. **პატარაიას** პავლე გიორგის-ძეს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორის მოადგილეს.
18. **სანიშვილს** (სანოვს) ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძეს— საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორს.
19. **სტურუას** რობერტ ივანეს-ძეს — მხატვარს.
20. **ფალიაშვილს** ვახტანგ ლევანის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის დირიჟორს.
21. **ფელდმანს** მარკუს მოსეს-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოოპერატორს.
22. **ხაჩიძეს** ერასტი სიმონის-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილეს.
23. **ხინთიბიძეს** არკადი ნიკოლოზის-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს და კინორეჟისორს.
24. **ხუჭუას** პავლე ვასილის-ძეს — მუსიკის მცოდნეს.
25. **ჯანელიძეს** დიმიტრი სევასტის-ძეს — ხელოვნების მცოდნეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. **აბაშიძეს** ლეილა მიხეილის ასულს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.
2. **ანჯაფარიძეს** ზურაბ ივანეს-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს.
3. **არაქელოვს** ლევ სტეფანეს-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს.
4. **ბრეგაძეს** ვასილ ზაქარიას-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობს.
5. **ბულეიშვილს** მარიამ სერგის ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობს.
6. **გეგეჭკორს** მერაბ ვლადიმერის-ძეს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
7. **გელოვანს** ევგენია სიმონის ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობს.
8. **გეჯაძეს** შალვა პავლეს-ძეს — ქორეოგრაფს.
9. **გოცირიძეს** სერგი ვიქტორის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობს.
10. **გაფრინდაშვილს** ალექსანდრეს-ძეს — ლენინის ორდენოსანი ანსამბლის ქართული ხალხური საკრავთა ორკესტრის ხელმძღვანელს.
11. **გრიშკევიჩს** მარგარიტა ნიკოლოზის ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობს.
12. **დოლიძეს** ვლადიმერ სერგის-ძეს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
13. **ვაშალომიძეს** შალვა პარმენის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს.
14. **ვაჩნაძეს** ელისაბედ კონსტანტინეს ასულს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
15. **ვეკუას** სერაფიმა გიორგის ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის დასის რეპეტიტორს.
16. **თავაძეს** ალიოზ ალიოზის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობს.
17. **თარხნიშვილს** თამარ არჩილის ასულს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
18. **თეფრაძეს** თამარ გიორგის ასულს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
19. **თეფრაძეს** თამარ პეტრეს ასულს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
20. **იაშვილს** მარინე ლოარსაბის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს (ვიოლონისტს).
21. **კვალაშვილს** ეანა პეტრეს ასულს — კონცერტმეისტერს.
22. **კიკნაძეს** შოთა ალექსანდრეს-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს.
23. **კერუნენიჩს** ემანუილ ისაკის-ძეს — თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
24. **კობალაძეს** ანდრია ალექსანდრეს-ძეს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
25. **კობერიძეს** ოთარ ლეონტის-ძეს— ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.
26. **კუპრაშვილს** ალექსანდრე ლავრენტის-ძეს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
27. **ლოლაძეს** კონსტანტინე ემანუილის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს.
28. **მანჯგალაძეს** ეროსი აკაკის-ძეს— თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
29. **მაღალაშვილს** რევაზ რევაზის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობს.
30. **მაღალაშვილს** ედიშერ გიორგის-ძეს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
31. **მახარაძეს** კონსტანტინე ივანეს-ძეს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
32. **მიქელაძეს** ნინო ლევანის ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობს.
33. **მუშკუდიანს** თენგიზ ვარლამის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს.
34. **ნინუას** ვახტანგ დავითის-ძეს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
35. **ნონიაშვილს** სერგი ივანეს-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობს.
36. **პატარაიას** გიორგი მელიტონის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს.
37. **პივოვაროვს** გრიგოლ შლემის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობს.
38. **პოლიანოვს** სამუელ იაკობის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მთავარ ადმინისტრატორს, ყოფილ სოლისტს.
39. **სანაძეს** თენგიზ გიორგის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობს.
40. **საყვარელიძეს** ტარიელ იოველის-ძეს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
41. **საყვარელიძეს** ელენე სერგის ასულს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
42. **სარაჯიშვილს** ავთანდილ ალექსის-ძეს — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სოლისტს.
43. **სიხარულიძეს** ალექსანდრე სარდიონის-ძეს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
44. **სუხიაშვილს** მარიამ კონსტანტინეს ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის რეჟისორის თანაშემწეს.
45. **ტროიანოვს** ნიკოლოზ ალექსის-ძეს — თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
46. **ფოცხვერაშვილს** ვალერიან ილარიონის-ძეს — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სოლისტს.
47. **ყანნელს** სალომე ალექსანდრეს ასულს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
48. **ყიფშიძეს** ელენე ვასილის ასულს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
49. **ყიფიანს** გივი ნიკოლოზის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს.
50. **ცაგურიას** მიტროფანე ბეგლარის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობს.
51. **ციციშვილს** თამარ იოსების ასულს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
52. **ცხომელიძეს** იური ბორისის-ძეს — ქართული სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.
53. **წეროძეს** დუდუნანა პლატონის ასულს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.
54. **წერეთელს** ანა იოსების ასულს— თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობს.
55. **წერეთელს** თამარ სიმონის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ყოფილ მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.
ქ. თბილისი, 1958 წლის 18 აპრილი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადება საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტების პრეს-კონფერენციაზე

საბჭოთა მთავრობისათვის ცნობილი გახდა, რომ ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები ატომური და წყალბადის ბომბების ტვირთით არაერთხელ გადაფრენილან თავიანთი სარდლობის ბრძანებით არქტიკის რაიონებზე სსრ კავშირის საზღვრების მიმართულებით. ამერიკის იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობებიდან, რომლებიც დაადასტურეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის წარმომადგენლებმა, ირკვევა, რომ ასეთ ფრენას მომართავენ ყოველთვის, როცა ეგრეთწოდებული ადრე გაფრთხილების ქსელის ამერიკული რადარების ეკრანებზე ჩნდება ბუნდოვანი გამოსახულება რაღაც საგნებისა, რომლებსაც ამერიკელი მეთვალყურენი მიიჩნევენ სამართავ ყუმბარებად ან ბალისტიკურ რაკეტებად. შემოწმებით ირკვეოდა, რომ მშვიდობიანი დროის ვითარებაში ამერიკის ბომბდამშენების ამ უმაგალითო მოქმედების საბაბს წარმოადგენდნენ ხან ელექტრონული მოვლენები რადარის ეკრანზე, ხან მეტეორიტების წვიმა.

ამერიკელი გენერლები იმოწმებენ იმას, რომ დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავები თავიანთ ბაზებში ბრუნდებოდნენ შუა გზიდან, როგორც კი გამოირკვეოდა, რომ განგაში უსაფუძვლოა. მაგრამ რა იქნება, თუ ამ გენერლებმა, რომლებსაც, როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, ნერვები ხშირად ღალატობთ, დროზე ვერ გამოიცნეს, რომ მფრინავი მეტეორი საბრძოლო ყუმბარა არ არის, და ამერიკის თვითმფრინავებმა განაგრძეს თავიანთი ფრენა და მიუახლოვდნენ საბჭოთა კავშირის საზღვრებს? განა აშკარა არ არის, რომ ასეთ შემთხვევაში საბჭოთა ხალხის უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესები სსრ კავშირისგან მოითხოვენ დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი მოახლოებული საფრთხის აღსაკვეთად?

რა მოხდებოდა, სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალებს რომ დაეწყოთ მოქმედება ისევე, როგორც ამჟამად მოქმედებს ამერიკის ავიაცია? მეტეორები და ელექტრონული მოვლენები ხომ საბჭოთა რადარების ეკრანებზეც აისახება. და თუ ასეთ შემთხვევაში ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთული საბჭოთა თვითმფრინავები გაფრინდებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფოებში მათი ბაზების მიმართულებით, ორივე მხარის საჰაერო ფლოტილები, შენიშნავდნენ რა ერთმანეთს სადმე არქტიკის სივრცეებში, გააკეთებდნენ ასეთ გარემოებაში ბუნებრივ დასკვნას, რომ მოხდა მოწინააღმდეგის ნამდვილი თავდასხმა, და კაცობრობა ატომური ომის უფსკრულში გადაიჩეხებოდა.

ამერიკის ბომბდამშენთა ეს ფრენა მეტად საშიში თამაშია ცეცხლთან, და არ შეიძლება შევურიგდეთ მის განგრძობას. მოგომარეობის საშიშროებას აძლიერებს აგრეთვე ის, რომ, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავები იმავე მომაკვდინებელი ტვირთით მთელი დღე-ღამეების განმავლობაში დაფრინავენ დასავლეთ ევროპის ბევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ უკვე რამდენჯერმე კაცობრიობა სულ ახლოს იყო ახალ ომთან, რომელიც შეიძლებოდა მყისვე დაწყებულიყო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობის უპასუხისმგებლო ან პროვოკაციული მოქმედების შედეგად, და ხალხებს აზრადაც არ მოსვლიათ, თუ რა საშიშროება მოელოდა მსოფლიოს. დასავლეთ ევროპაშიც და თვით შეერთებულ შტატებშიც ტყუილად როდი ლაპარაკობენ შეშფოთებით ამ დღეებში, რომ ყოველთვის, როცა ამერიკის ბომბდამშენები ადიოდნენ ჰაერში თავიანთი ტვირთით და მიემართებოდნენ მათთვის მიცემული კურსით, ისინი მფრინავდნენ მესამე მსოფლიო ომისაკენ.

სსრ კავშირის მთავრობას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობის ეს მოქმედება მიაჩნია საშიშ პროვოკაციად მშვიდობის საქმის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობას არა სურს დაეჯეროს, რომ ამერიკის სამხედრო ავიაციის ეს მოქმედება ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და პირადად პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სანქციით. მაგრამ საწინააღმდეგოც ხომ არავის არ განუცხადებია, არავის არ განუცხადებია, რომ ეს არის სამხედრო სარდლობის თვითნებური მოქმედება და რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მას გმობს და არ დაუშვებს მის გამეორებას.

საბჭოთა ხალხს, რომელიც ეწევა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას და გულწრფელად ისწრაფვის იცხოვროს ყველა სხვა ხალხთან მშვიდობით და მეგობრობით, არ შეუძლია არ განიცდიდეს დიდი გულისწყრომის გრძნობას ამერიკის სამხედრო ავიაციის აღნიშნულ მოქმედებასთან დაკავშირებით.

სავსებით გასაგებია აგრეთვე ევროპის ხალხების შიში და აღშფოთება. მათ ეს მოქმედება მიაჩნიათ მშვიდობის საქმისადმი მტრული ძალების მხრივ „პროგრესულად მზარდი სიგიჟის“ გამოვლინებად. ამერიკის ბომბდამშენთა უგუნური ფრენა ატომური ომის მრისხანე საფრთხეს უქმნის აგრეთვე ინგლისელებს, ფრანგებს, დასავლეთ გერმანიის მცხოვრებლებს, ყველა იმ ქვეყნის ხალხებს, რომლებიც შებოჭილი არიან სამხედრო ვალდებულებებით ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე და რომლებმაც ნება მისცეს განლაგებინათ მათს ტერიტორიაზე ამერიკის ატომური და რაკეტული ბაზები.

ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ჩვენს დროში ვერ ხედავდეს, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ატომური და წყალბადის ბომბებით ამ ჯამბაზობას თვით ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, მილიონობით და მილიონობით ამერიკელის სიცოცხლისათვის.

ყველა ქვეყნის ხალხები დღეს რწმუნდებიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები მართლაც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ომის ზღვარზე იყოლიონ მთელი მსოფლიო, ამასთან, როგორც მათი მოქმედება გვიჩვენებს, ეს ზღვარი შეიძლება სულ რამდენიმე საათში გაქრეს. მსოფლიოს აყენებენ ისეთ მდგომარეობაში, როცა ატომური ომი შეიძლება თავს დაატყდეთ ადამიანებს ამერიკელი ტექნიკოსის სულ მცირე შეცდომის, რომელიმე ამერიკელი ოფიცრის უყურადღებობის, უბრალო შეცდომის ან არასწორი დასკვნის შედეგად.

საბჭოთა მთავრობას არაერთგზის გაუცხადებია, რომ მშვიდობის საქმეს საფრთხეს უქმნის თავშეუკავებელი გამალებული შეიარაღებისა და ომაღლის ჩხარუნის პოლიტიკა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ხელმძღვანელები ახორციელებენ, და მოუთხოვია, რომ საერთაშორისო ატომსფერო გაიწმინდოს „ცივი ომის“ შხამისაგან. საჭირო რომ იყოს იმის დამატებითი მაჩვენებლები, თუ რა საფრთხეს უქმნის ხალხებს ასეთი პოლიტიკა, ძნელი იქნებოდა მოგვენახა უფრო მკაფიო მაგალითი, ვიდრე ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთული ამერიკის თვითმფრინავების ავანტიურისტული ექსპედიციებია საბჭოთა კავშირის საზღვრების მიმართულებით.

როგორც ჩანს, მოღვაწეები, რომლებიც განსაზღვრავენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას და რომლებიც უკვე მრავალი წლის განმავლობაში ცდილობენ დაიშინონ ამერიკელი ხალხი და თავიანთი მოკავშირენი სოციალისტური ქვეყნების მხრივ ომის მოჩვენებითი საფრთხით და ყოველწაირად აღვივებენ ომის ისტერიას, ბოლოს და ბოლოს თავიანთი საკუთარი პრობლემების მსხვერპლნი გახდნენ. მაგრამ, უბედურება ის არის, რომ მათი ღონისძიებანი, რომლებსაც ომის ფსიქოზი წარმოშობს, სცილდება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს და უდიდეს საფრთხეს უქმნის სხვა ხალხებს.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ ყველაფერი ეს ხდება იმ მომენტში, როცა მომდინარეობს მზადება უმაღლეს დონეზე სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირის მოწვევისათვის იმ მიზნით, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა დ. შემცირდეს რაკეტულ-ატომური ომის საფრთხე. თითქოს ბუნებრივია მოველოდეთ, რომ ყველა სახელმწიფოს მთავრობები ამ ვითარებაში თავს მაინც შეიკავებენ ისეთი ღონისძიებებისაგან, რომლებიც აირთულებენ იმ მოლაპარაკების მომზადებასა და მოწყობას, რომელსაც შეიძლება ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდეს ხალხთა ბედისათვის. ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები, ესე იგი ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო, რომელსაც მთავარი პასუხისმგებლობა აკისრია საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მოქმედებენ აშკარად საწინააღმდეგო მიმართულებით, მშვიდობისა და საერთაშორისო თანაშრომლობის ინტერესების საწინააღმდეგოდ. გასაკვირველი არ არის, რომ ყოველი ღონისძიება — შენელდეს დაძაბულობა და დაჩქარდეს უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევა, აწყდება განუწყვეტელ წინააღმდეგობას ამ მხრიდან.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირი, რომელსაც სურს ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, „ცივი ომის“ შეუწყვეტას და სახელმწიფოთა შორის საჭირო ნდობის დამყარებას, ფართო მასშტაბით განაგრძობს თავისი შეიარაღებული ძალების შემცირებას და ისიც გააკეთა, რომ ცალმხრივი წესით შეწყვიტა ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა, ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის ამ მშვიდობისმოყვარეულ და კეთილშობილურ ღონისძიებას უპასუხებენ თავიანთი სამხედრო ავიაციის გამომწვევი მოქმედებით.

თუ ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი ღონისძიებანი იმას ითვალისწინებენ, რომ დაშინონ საბჭოთა კავშირი, ეს ამაო შრომაა. მკაცრი განსაცდელით გამოწრთობილ საბჭოთა ადამიანებს საკმაოდ მაგარი ნერვები აქვთ, და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს თავიანთ განკარგულებაში აქვთ ყველა საჭირო საშუალება იმისათვის, რომ საიმედოდ დაიცვან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება და, საჭიროების შემთხვევაში, გამანადგურებელი საპასუხო დარტყმით უპასუხონ ყოველ იგრესორს.

სსრ კავშირის მთავრობა, რომლის საგარეო პოლიტიკის უმაღლესი მიზანი იყო და არის ხალხთა მშვიდობის უზრუნველყოფა ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე, მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების იმ მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს და მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს საბჭოთა კავშირის საზღვრების მიმართულებით ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთული ბომბდამშენების გაგზავნის პრაქტიკა.

საბჭოთა მთავრობა მოუწოდებს ყველა სხვა ქვეყნის მთავრობებს აგრეთვე აღიმაღლონ თავიანთი პროტესტის ხმა და იბრძოლონ იმისათვის, რომ იხსნან ხალხები საფრთხისაგან, რომელიც დაკავშირებულია ამერიკის სამხედრო ავიაციის პროვოკაციულ მოქმედებასთან.

მხედველობაში იღებს რა იმ სერიოზულ საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისათვის, რასაც ეს ფრენა ქმნის, საბჭოთა მთავრობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს განსახილველად შეაქვს საკითხი ამ ფრენის შეწყვეტის საჭიროების შესახებ.

გასული წლის დეკემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ. გამოხატა რა ხალხთა საერთო ნება, გენერალურმა ასამბლეამ აღნიშნა, რომ საჭიროა შენელდეს დაძაბულობა სახელმწიფოთა შორის და მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს თავიანთი ღონისძიებანი მოახმარონ საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებას და მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარებას. ამ რეზოლუციას ხმა მისცა ამერიკის დელეგაციამაც. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ისეთი ოქმედება, როგორიც არის ატომგულის იარაღით დატვირთული თვითმფრინავების გაგზავნა საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ, სრულებით არ შეესაბამება ვალდებულებებს, რომლებიც ამ რეზოლუციის თანახმად ეკისრებათ სახელმწიფოებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან, აგრეთვე გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სესიაზეც მრავალგზის გაისმა შეშფოთებული ხმები ბევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებისა, რომელსაც აფიქრებს ის, რომ გამალებული შეიარაღებისა და „ცივი ომის“ გაღვივების შედეგად იზრდება სამხედრო კატასტროფის მრისხანე საფრთხე. ეს სავსებით კანონიერი შეშფოთებაა. ამერიკის შეერთებული შტატების და მათი პოლიტიკის ფარვატერში მყოფ ნატოს სახელმწიფოთა ახლანდელი სათმარი მზადება, მათი აშკარა მისწრაფება უკიდურესად გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება, გამოიწვიონ მისი, როგორც იტყვიან, გავარვარება, საკმაო საფუძველს გვაძლევს ამისათვის.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ ვისთვისაც კი ძვირფასია მშვიდობის საქმე, ვინც კანონიერ შეშფოთებას იჩენს ხალხთა ბედისათვის, თავისი მახლობლების ბედისათვის, მან არ შეიძლება არ შეუერთოს თავისი ხმა საბჭოთა კავშირის გამაფრთხილებელ ხმას და მის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ომის საფრთხის თავიდან აცილება, მშვიდობის შენარჩუნება.

1958 წლის 18 აპრილი.

საკავშირო ალკკ XIII ყრილობა

იწყება 18 აპრილის დილის სხდომა. პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლო